



ადამიანის უფლებების მდგომარეობა
საქართველოში, 2019



ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2019



თბილისი, 2020

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ანგარიშის ავტორი: ლაზარე ჭიბლაძე

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

თარგმანი: ნინო ტლაშაძე

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: ნინო ცაგარეიშვილი

ფოტო ყდაზე: ინტერესნიუსი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოვიძის ქ. 11ა, III სართული ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48 ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org.



ანგარიში მოამზადა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

კოგიტიური ცვლილებები კანონმდებლობაში	6
ცვლილებები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში	6
„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი..	7
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	7
სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	8
სემსუალური შვიწროება	9
სასამართლო ხელისუფლება	10
შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება	13
20-21 ივნისის მოვლენები.....	13
აქციის მონაწილეთა სისხლისსამართლებრივი დევნა	15
აქციები პროკორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით	16
პანკისის ხეობაში მომხდარი დაპირისპირება.....	17
ბუბა ნაყვების საქმე.....	18
მედის თავისუფლება	18
ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლა	19
აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები	20
„რუსთავი 2“-ის საქმე.....	22
TV პირველი.....	24
საზოგადოებრივი მაუწყებელი	25
ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე	25
თანახრობის უფლება	29
ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია.....	29
იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები	31
შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია.....	31
LGBTQ+ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა	32
რელიგიური უმცირესობები	34
კენიტივური სისტემა	34
შეწყობა.....	36
შრომის კოლიტიკა	36
მალაქი საზოგადოებრივი ინტერესის შემდეგ საქმეები	38
ლუკა სირაძის საქმე	38
თამთა თოდუაძის საქმე	38
ანა სუბელიანის საქმე.....	39
ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნების საქმე	39
თეიმურაზ მაჩალიკაშვილის საქმე.....	40
ვიტალი საფაროვის საქმე	40
თათია ლორთქიფანიძის საქმე	41
ანაკლიის ღრმანყოფანი კორტი	42
ქსენოფობია რუსეთის ფედერაციაში	43
ICC-ს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება.....	44
საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ.....	46

შინაგალო

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2019 წელს. ანგარიში სამართლებრივ ჭრილში განიხილავს 2019 წელს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს და ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს და შეფასებებს.

ანგარიშის მიზანია, შეაფასოს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებების ქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში, მათი რეაგირების ხარისხი უფლებების დარღვევებზე, მართლმსაჯულების ეფექტიანობა და განხორციელებული საკანონმდებლო თუ სისტემური ცვლილებები, რომლებიც მიმართული უნდა იყოს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისკენ.

ანგარიში მოიცავს საკვანძო მიმართულებებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორც არის: კანონის წინაშე თანასწორობა, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლება, სასამართლო სისტემა, ადამიანის უფლებები პენიტენციურ დაწესებულებებში, ოკუპაცია და მისი შედეგები ადამიანის უფლებრივ მდგომარეობაზე, შრომის უფლება, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები, მედიის თავისუფლების საკითხები, შშმ პირთა მდგომარეობა, LGBTQ+ პირთა უფლებები, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის - ოჯახში ძალადობის ფაქტები, საარჩევნო სისტემა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ა.შ.

2019 წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების საკითხი. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ შეძლო ობიექტური დამკვირვებლის დარწმუნება არჩეულ მოსამართლეთა კომპეტენტურობაში, რაც კიდევ უფრო აზარალებს სასამართლოს იმიჯსა და მისდამი ნდობას.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვის მხრივ, 2019 წელსაც არაერთმა პრობლემამ იჩინა თავი. 20-21 ივნისის მოვლენების დროს, პანკისის ხეობაში ჰესებთან და დედაქალაქში საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით გამართულ აქციებზე, განსაკუთრებული პრობლემა გამოიკვეთა აქციების სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშლისას, როდესაც ნათლად გამოჩნდა სისტემური ხარვეზები. კვლავ შემაშფოთებელია სამართალდამცავთა მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები და სამართალდამცავთა გადაცდომებზე სახელმწიფოს რეაგირების დეფიციტი.

საქართველოში მედიაგარემო 2019 წელსაც პოლარიზებულია. ისევე აქტუალურია სახელმწიფოს მხრიდან კრიტიკული მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის სხვადასხვაგვარი მცდელობები. განსაკუთრებით პრობლემური იყო ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშემშლისა და ჟურნალისტთა რეკორდული რაოდენობის ფიზიკური დაზიანება 20-21 ივნისის მოვლენებისას, რაზეც შესაბამის უწყებებს დღემდე არ მოუხდენიათ ადეკვატური რეაგირება.

2019 წელსაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც მოვლენათა სრულყოფილი დოკუმენტირება შეუძლებელია როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. გაყინული ურთიერთობების ფონზე კი რეაგირების გარეშე რჩება მრავალი დანაშაულებრივი ქმედება. საოკუპაციო ხაზს

მიღმა მყოფ ადამიანებს ეზღუდებათ მთელი რიგი უფლებები, რაც კვლავაც ტოვებს ჰუმანიტარული კრიზისის რისკებს როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ქვეყანაში კვლავ დიდი პრობლემაა სხვადასხვა უმცირესობების დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია. განსაკუთრებით მოწვევლია LGBTQ+ თემი, რომელთა უფლებები მთელი წლის განმავლობაში ირღვეოდა. მნიშვნელოვანი რეაგირების გარეშე რჩება ულტრაკონსერვატორი ჰომოფობიური ჯგუფების ძალადობრივი ქმედებები. კვლავ დეფიცირდება თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული იდეებისადმი ხელისუფლების ერთგულება და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

ქვეყანაში არ არსებობს ღირსეული შრომისთვის აუცილებელი ელემენტარული პირობები. შრომითი უფლებების არასაკმარისი დაცვისა და ზედამხედველობის დეფიციტის გამო, ასევე, წლების განმავლობაში ქაოტურ შრომით ბაზარზე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შრომის უსაფრთხოება, სამუშაო ადგილზე სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, შრომითი ექსპლუატაცია და ა.შ.

ანგარიშის მთავრდება ავტორიტეტული საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების შეფასებებით.

კოფიტიური ცვლილებები კანონმდებლობაში

6 • ცვლილებები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში

2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებიდან მასში რჩებოდა არაერთი ხარვეზი, რაც თანასწორობის მექანიზმების ეფექტიან მუშაობას ართულებდა. 2019 წელს, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქართველოში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ინსტიტუციურ გარანტიებს.

საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო როგორც პროცესუალურ, ასევე მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებს. კერძოდ, კანონმდებლობით აკრძალული/სააქცირებადი გახდა შევიწროება და სექსუალური შევიწროება. ამასთან, განმტკიცდა პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი შრომით, წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში, განათლების, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, დისკრიმინაციის წაქეზების, იძულებისა და ხელშეწყობის გარდა, აიკრძალა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების დავალება. ამასთან, გაიზარდა სასამართლოსთვის მიმართვის ვადა (სამი თვიდან ერთ წლამდე), კერძო პირებთან მიმართებით გაძლიერდა საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი: თუკი კერძო პირები არ პასუხობენ სახალხო დამცველის რეკომენდაციას ან არ იზიარებენ მას, სახალხო დამცველს შეუძლია, მათ სასამართლოში უჩივლოს და მოსთხოვოს რეკომენდაციის შესრულება. ამავდროულად, ისინი ვალდებული ხდებიან, სახალხო დამცველს მიაწოდონ ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია¹.

¹ იხ. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

• **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი**

2019 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რამდენიმე რეგულაცია და ცვლილება. ცვლილებები ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ამ მიმართულებით ქვეყანაში არაერთი გამოწვევა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

2019 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე დამტკიცებული კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც შრომის უსაფრთხოების კანონის მოქმედების არეალი შეუზღუდავი გახდა და გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე და საჯარო სექტორზე².

ცვლილებების თანახმად, შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველი ორგანო უფლებამოსილი გახდა, წინასწარი შეტყობინების გარეშე და სასამართლო ნებართვის გარეშე, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, შეამოწმოს ინსპექციისადმი დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო სივრცე (2019 წლის 1 სექტემბრიდან).

კანონში, ასევე, დადგინდა ეფექტური და დიფერენცირებული სანქციები, რომელთა მოცულობა მერყეობს 100 ლარიდან 50 000 ლარამდე, დარღვევის ხარისხისა და შემოწმებული კომპანიის მოცულობის შესაბამისად. მდგომარეობის კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, ინსპექტორს ეძლევა სამუშაო პროცესის შეჩერების უფლებაც, რაც შემდგომ სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა დადასტურდეს³.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 1 სექტემბრიდან ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ ყველა ორგანიზაციაზე, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს შრომის კოდექსით“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე. საქართველოს ორგანული კანონის მე-2 და მე-7 მუხლების საფუძველზე, 2019 წლის 1 სექტემბრიდან ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში ფუნქციონირებად კომპანიებს დაეკისრათ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ყოლის ვალდებულება⁴.

• **სისხლის სამართლის მართლმსაჯულება**

2018 წლის მსგავსად, კვლავაც ვერ ხერხდება სამართალდამცავი სტრუქტურების სრული დეპოლიტიზება. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების არაერთი მოთხოვნისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციისა, გასული წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, პროკურატურის საქმიანობის შესახებ ცვლილებებმა არსებული პრობლემების სრული აღმოფხვრა ვერ უზრუნველყო. უცვლელი დარჩა გენერალური პროკურორის შერჩევისა და დანიშვნის ხარვეზიანი წესი. შესაბამისად, კვლავ თვალსაჩინოა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე

² ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2ZrNe1q>

³ იხ. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4103880?publication=4>

⁴ იხ. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4103880?publication=4>

პირის შერჩევა/დანიშვნის პროცესის ცალმხრივი პოლიტიკური ინტერესებით წარმართვა⁵.

სამწუხაროდ, ძალიან ნელა მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი რეფორმა გამოძიების პროცესში საგამოძიებო და საპროკურორო კომპეტენციების ნათლად გამიჯვნის, ძლიერი საგამოძიებო უწყებების შექმნისა და სრულყოფილი, ობიექტური გამოძიების უფრო მაღალი სტანდარტებით უზრუნველსაყოფად. 2019 წლის სამუშაო პროცესი კონკრეტულ რეფორმამდე, ან საკანონმდებლო ცვლილებებამდე არ მისულა. ეს კი აფერხებს ქვეყანაში ეფექტიანი და ობიექტური საგამოძიებო სისტემის შექმნას.

კვლავაც გამოწვევად რჩება ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა, მიუხედავად ბოლო წლებში ამ მხრივ გადადგმული არაერთი ნაბიჯისა, რომელმაც გარკვეულწილად უფრო ლიბერალური გახადა მიდგომები, დღეს არსებული პოლიტიკა კვლავ ინარჩუნებს რეპრესიულობას. სამწუხაროდ, დღესაც უამრავი ადამიანი იხდის სასჯელს მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისათვის. დასჯაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის ნეგატიური შედეგების გააზრების გარეშე, შეუძლებელი იქნება ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმა⁶.

• სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსაცვლე, 2019 წლის 10 მაისიდან ამოქმედდა. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი; ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი; სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის და ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება⁷.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი 2018 წლის ივლისში მიიღეს. სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედება თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრიდან იგეგმებოდა, მაგრამ ეს ვადა ჯერ 1 ივლისამდე, შემდეგ კი 1 ნოემბრამდე გახანგრძლივდა. საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედების გადავადება არაერთხელ გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი, განსაკუთრებით - 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სათანადო უფლებამოსილების არარსებობის გამო, 20 ივნისის თბილისში, მასობრივი საპროტესტო აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლის დროს,

⁵ იხ. IDFI-ის სტატია პროკურატურის რეფორმის შესახებ: <https://bit.ly/2ESLjJQ>

⁶ იხ. ნარკოპოლიტიკა საქართველოში - შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები - EMC <https://emc.org.ge/ka/products/narkopolitika-sakartveloshi-shecherebuli-reforma-da-akhali-tendentsiebi>

⁷ იხ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებ-გვერდი: <https://personaldata.ge/ka/about-us>

სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტების გამოძიება ვკლავ საქართველოს პროკურატურას დაეგალა⁸.

1 ნოემბრიდან სამართალდამცველებისა და მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების ეფექტიან გამოძიებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს. მსგავსი ტიპის დანაშაულების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების უფლებამოსილებას „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ანიჭებს. სახელმწიფოს მიერ ამგვარი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა ეხმიანება საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეკომენდაციებს.

• სექსუალური შვიწროება

წლების განმავლობაში კანონით რეგლამენტირებული არ იყო სექსუალური შვიწროება, რის გამოც შეუძლებელი იყო მსგავსი შემთხვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება. 2019 წლის თებერვალში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით სექსუალური შვიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განისაზღვრა და შესაბამისად, მისი განხორციელება კანონით რეგულირებულ ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერი პირის მხრიდან აიკრძალა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ცვლილებები ოთხ სხვა კანონში - შრომის კოდექსში, სახალხო დამცველის შესახებ კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც შევიდა.

კანონპროექტი განსაზღვრავს სექსუალური შვიწროების დეფინიციას, რომლის თანახმადაც, სექსუალურ შვიწროებად ჩაითვლება საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ღირსების შელახვას და ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შურაცხმყოფელ გარემოს.

ცვლილებებს შენიშვნის სახით დაემატა სექსუალური ხასიათის ქცევის უფრო კონკრეტული განმარტება: „სექსუალური ხასიათის ქცევაში იგულისხმება სექსუალური ხასიათის ფრაზების გამოთქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება, ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა“.

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატა 166-ე პრიმა მუხლი⁹, რომელიც საჯარო სივრცეში სექსუალური შვიწროების ცნებას განსაზღვრავს. ეს მუხლი ასევე ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებსაც და დამრღვევის მიმართ განსაზღვრულია შესაბამისი სანქციები. ცვლილება ეხება იმ მუხლებსაც, რომლის საფუძველზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ, შეადგინონ სექსუალური შვიწროების ჩამდენი პირის მიმართ ოქმი, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას სანქციის დაკისრების თაობაზე სასამართლო მიიღებს.

⁸ იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, განცხადება <https://civil.ge/ka/archives/311789>

⁹ იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი: <https://bit.ly/39enoTq>

აღნიშნული ცვლილებებით, სექსუალური შევიწროების დეფინიცია დაემატა შრომის კოდექსსაც. შეიცვალა შრომის კოდექსის მეორე მუხლის მე-4 პუნქტი და დისკრიმინაციად (მათ შორის - სექსუალურ შევიწროებად) ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

აღნიშნულ ცვლილებათა პაკეტით, სასამართლოსთვის სარჩელის მიმართვის ვადა 1 წლამდე გაიზარდა. აქამდე არსებული სამთვიანი ვადა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამ სფეროში მომუშავე ექსპერტების სამართლიან კრიტიკას იწვევდა. შესაბამისად, ვადის გაზრდა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

2019 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით, სახალხო დამცველს ათმა ადამიანმა მიმართა სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე. ამათგან 4 საქმის წარმოება შესწავლის შემდგომ შეწყდა, 1 შეჩერდა, 1 სხვა დეპარტამენტს გადაეწერა, ერთზე სახალხო დამცველმა გამოსცა რეკომენდაცია, ხოლო სამი ჯერ კიდევ მიმდინარე საქმეებია¹⁰.

სასამართლო ხელისუფლება

2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები ეხება უზენაესი სასამართლოს შემადგენლობას და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევისა და დანიშვნის პროცესს. ცვლილებების შედეგად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა 16-დან 28-მდე გაიზარდა, ხოლო 10-წლიანი ვადით დანიშვნის წესი შეიცვალა უვადო დანიშვნით. ასევე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების პარლამენტისთვის დასანიშნად წარდგენის უფლებამოსილება პრეზიდენტიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცა. ცვლილებებს საფუძვლად დაედო 2018 წლის 24 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისათვის 10 კანდიდატის წარდგენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დასანიშნად. წარდგენისას არ არსებობდა კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავდა კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებს და პროცედურებს. ამ მოვლენამ საზოგადოების ფართომასშტაბიანი უკმაყოფილება და სამოქალაქო საზოგადოების, სახალხო დამცველის, პოლიტიკური ოპოზიციის და ასევე, მმართველი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის კრიტიკა გამოიწვია.

2019 წლის 1 მაისს ცვლილებები შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, რის შედეგადაც დარეგულირდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ახლადშემოღებული კონსტიტუციური პროცესი. კანონის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ღია წესით ატარებს

¹⁰იხ. საქართველოს სახალხო დამცველის წერილი N 24/12306 ადამიანის უფლებათა ცენტრს 13/11/2019

კანდიდატთა პირველად შერჩევას, ადგენს განმცხადებლების შესაბამისობას მინიმალურ მოთხოვნებთან, ფარული კენჭისყრით ადგენს კანდიდატთა მოკლე სიას, ამონაშენებს მოწოდებული მონაცემების სიზუსტეს და კანდიდატებთან სათითაოდ ატარებს საჯარო გასაუბრებას. ამის შემდეგ საბჭოს წევრები აფასებენ კანდიდატებს და ახდენენ მათ რანჟირებას ფარული კენჭისყრის მეშვეობით. უმაღლესი ქულების მქონე თითოეულ კანდიდატს ისევ ეყრება კენჭი ფარული კენჭისყრის გზით. პარლამენტს წარედგინება იმ კანდიდატთა სია, რომლებიც მიიღებენ სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ ორ მესამედს. ამის შემდეგ თითოეულ კანდიდატთან ხდება საჯარო გასაუბრება საპარლამენტო კომიტეტში. მოსამართლეებად ინიშნებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმათა უმრავლესობას პარლამენტში. მიუხედავად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნებიდან ნაწილის გათვალისწინებისა, საბოლოო დოკუმენტმა მაინც დაიმსახურა კრიტიკა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე¹¹.

მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის თითოეულ ეტაპზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნები რიგ ხარვეზებს შეიცავს. სასამართლო რეფორმის არაერთი ტალღის მიუხედავად, მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის არსებული სისტემა ისევ ვერ აკმაყოფილებს ობიექტურობის, დასაბუთებულობის, დამსახურების პრინციპისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. ამავე დროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს აძლევს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. დანიშვნის პრინციპებისა და სხვადასხვა ეტაპის ერთიანობაში შეფასება მიუთითებს, რომ ამ პროცესში ჯერ კიდევ სუსტია პროფესიული დანიშვნის ელემენტი. 2019 წლის 1 მაისს, დანიშვნის პროცესის რეგულირებისთვის საჭირო ცვლილებების¹² მიუხედავად, რითაც შეიცვალა საბოლოო გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების წესი, რასაც შეეძლო მთლიანად გადაეწონა კანონით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით კანდიდატის მიღებული შეფასება, რიგი გარემოებები ამ პროცესის პოლიტიკურ ბუნებაზე მიუთითებს. კანონის ეს პრობლემური ლოგიკა, მოსამართლეთა დანიშვნის პრაქტიკასთან ერთად, შეიძლება იყოს იმ ეჭვის საფუძველი, რომ იუსტიციის საბჭო მის ხელთ არსებულ უფლებამოსილებებსა და საკანონმდებლო ხარვეზებს განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების სისტემიდან განსაღვინად და საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ამ დრომდე იყენებს. მაგალითისთვის, მოსამართლეობის კანდიდატთა სიაში ძირითადად მოხვდნენ გავლენიანი ან მათთვის მისაღები მოსამართლეები, აგრეთვე ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები. აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ქვეყანაში სამართლებრივ პოლიტიკას წარმართავს და ერთგვაროვან პრაქტიკას ამკვიდრებს. შერჩეულ კანდიდატთა 20-კაციანი სიიდან კი, აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ დააკმაყოფილა სამართლებრივი აზროვნებისა და პიროვნული შეუვალობის მაღალი დონე. იშვიათი გამონაკლისების გარდა, კანდიდატების სამართლებრივი მსჯელობის უნარი იყო დაბალი, მათი პასუხები კი - დაუსაბუთებელი. ზოგიერთმა კანდიდატმა უარი განაცხადა კონკრეტული სუბიექტების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე.

¹¹ იხ. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მარლთმსაჯულებისათვის“ შეფასება: <https://emc.org.ge/ka/products/koalitsia-uzenaesi-sasamartlos-mosamartleta-tsardgenisa-da-archevis-akhal-tsess-afasebs>

¹² იხ. საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 35-36.

ამასთანავე, მოსამართლეთა შერჩევა-დანაშინის წესში რიგი ცვლილებების მიუხედავად, რომელსაც უნდა უზრუნველყო აღნიშნული პროცესის მშვიდ და სტაბილურ გარემოში წარმართვა, მოვალეობების შესრულებისას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში აღნიშნებოდა მწვავე შიდა უთანხმოება და დაპირისპირება მოსამართლე წევრებსა და ორ არამოსამართლე წევრს შორის. უკვე დიდი ხანია, საბჭოს ორი არამოსამართლე წევრი აკრიტიკებს სხვა წევრებს და მიიჩნევს მათ სასამართლო ხელისუფლების მაკონტროლებელი გავლენიანი მოსამართლეების ჯგუფად. კამათი ეხებოდა როგორც პროცედურულ, ისე არსებით საკითხებს. გარდა ამისა, მთელი პროცესის განმავლობაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც მონიტორინგს აწარმოებდნენ სასამართლო ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლების საზედამხებველო ორგანოს დამოუკიდებლობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და შემდგომ უკვე პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა მოსმენა, საქართველოს ისტორიაში პირველად, სხვადასხვა მაუწყებლის პირდაპირი ეთერით გადაიციემოდა. ამან შესაძლებლობა მისცა საქართველოს მოსახლეობას, საკუთარი თვალთ დაენახა და შეეფასებინა როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები, ისე საქართველოს პარლამენტში კანდიდატთა გასაუბრებაზე მიმდინარე მოვლენები და თავად გასაუბრების პროცესის სამართლიანობა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ დაამტკიცა გასაუბრების ჩატარების წესი, რის გამოც პროცესი იყო არაორგანიზებული, აგრეთვე ბუნდოვანი და არათანმიმდევრული როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმატის თვალსაზრისით¹³. ზოგ შემთხვევაში კანდიდატს ნაკლები რაოდენობის კითხვებს უსვამდნენ და გასაუბრება დიდი ხნის განმავლობაში ერთი და იგივე საკითხის ირგვლივ მიმდინარეობდა. ხშირ შემთხვევაში, გასაუბრება ისეთ სახეს იღებდა, თითქოს საბჭოს წევრები კანდიდატს პროფესიულ რჩევას ეკითხებოდნენ, ნაცვლად მასთან გასაუბრების ჩატარებისა. ზოგჯერ საბჭოს წევრები დაუფარავად გამოხატავდნენ მხარდაჭერას კანდიდატისადმი.

ზოგადი შეფასებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში უვადოდ განსამწესებელ მოსამართლეობის კანდიდატთა მოსმენები საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში გამჭვირვალედ წარიმართა. მოსმენების პროცესმა, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიციემოდა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ კანდიდატების უმრავლესობა არაადეკვატურად აღიქვამს სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებს, ვერ ხედავს როგორც წარსულში, ასევე აწმყოში სასამართლოში არსებულ პრობლემებს ან არ სურს ისაუბროს მათ შესახებ; პრეტენდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ან ღიად უჭერს მხარს მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს - ე.წ. კლანს ან მის წინააღმდეგ ერიდება განსხვავებული აზრის ღიად დაფიქსირებას.

აღსანიშნავია 2019 წლის 12 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომა, სადაც უზენაესი სასამართლოს ახალი მოსამართლეების დამტკიცების საკითხი პროტესტის ფონზე განიხილებოდა.

¹³ იხ. 2010 წლის ODIHR-ის კვივის რეკომენდაციები, პარაგრაფი 21, რომლის თანახმად, გასაუბრების თემა და მისი წონა შერჩევის მთლიან პროცესში წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

მანდატურებმა მედიის წარმომადგენლებს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში ხელი შეუშალეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და სხდომათა დარბაზში ძალის გამოყენებით დაატოვებინეს.

მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების, სახალხო დამცველის, პოლიტიკური ოპოზიციის უკმაყოფილებისა, პარლამენტმა 2019 წლის 12 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე უვადოდ დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლე იმ 19 კანდიდატიდან, რომელთაც რეკომენდაცია იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გაუწია¹⁴.

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ სპეციალურ ფორმას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურის განვითარებასა თუ უმცირესობათა იდენტობის შენარჩუნებაში. შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლურალისტული და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, სადაც განსხვავებული მრწამსის, შეხედულებებისა და მოსაზრებების მქონე ადამიანები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და აქვთ განვითარების შესაძლებლობა¹⁵.

საქართველოში კულტურულად არადომინანტი თემების მიერ ამ უფლების თავისუფლად რეალიზება განსაკუთრებულ სირთულეს უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო აგრძელებს უკანასკნელი წლების პრაქტიკას და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მშვიდობიანი მოქალაქეების შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველყოფას LGBTQ+ პირებთან მიმართებაში. 2019 წელი ასევე დასამახსოვრებელი იყო აქციების სპეციალური საშუალებით დაშლისას, სამართალდამცავთა მიერ, გამოყენებული არაპროპორციული ძალით, რამაც კიდევ ერთხელ ნათლად გამოკვეთა ამ მხრივ არსებული სისტემური პრობლემები.

• 20-21 ივნისის მოვლენები

2019 წლის ივნისში საქართველოს ესტუმრა რუსეთის დელეგაცია მართლმადიდებლობისთვის მიძღვნილი ყოველწლიური საპარლამენტაშორისო გენერალური ასამბლეის ფარგლებში. დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვი, რომელმაც დუმაში კენჭისყრისას მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას¹⁶.

საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება და პროტესტი სესიის მეორე დღეს - 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში რუსი დეპუტატის სიმბოლურ აქტს მოჰყვა, როცა მან პარლამენტის სპიკერის ადგილი დაიკავა და ასამბლეის რიგით 26-ე სესია რუსულ ენაზე წაიყვანა.

¹⁴ იხ. ინფორმაცია - უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლედ საქართველოს პარლამენტმა

14 კანდიდატი დაამტკიცა. საზოგადოებრივი მაუწყებელი, 12.12.2019: <https://bit.ly/375azJ0>

¹⁵ იხ. „შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება“ - გზამკვლევი: <https://bit.ly/2PXONBn>

¹⁶ იხ. 20-21 ივნისის მოვლენები - სამართლებრივი ანალიზი, HRC: <https://bit.ly/2rt6rTZ>

დღის განმავლობაში დაწყებულმა სპონტანურმა საპროტესტო აქციამ 20 ივნისის საღამოს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის სახე მიიღო. სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებული ანტისაოკუპაციო აქცია, სლოგანით - „სირცხვილია“ რამდენიმე საათი მშვიდობიანად მიმდინარეობდა. მონაწილეები ოკუპაციას აპროტესტებდნენ და მოითხოვდნენ შექმნილ სიტუაციაში პასუხისმგებელი პირებისგან თანამდებობების დატოვებას¹⁷. აქციის მონაწილეთა ნაწილმა, ცალკეული პოლიტიკოსების მონოდებებით, პარლამენტის შენობაში შესვლა სცადა, რასაც თან სდევდა მძიმე ფიზიკური დაპირისპირება. აქციის მონაწილე მცირე ჯგუფის მხრიდან აღვილი ჰქონდა საჯარო წესრიგის დარღვევასა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ცალკეულ შემთხვევებს. აღნიშნულ ქმედებას პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებებით აქციის მონაწილეთა დაშლა მოჰყვა. აქციის დაშლისას სამართალდამცავებმა გამოიყენეს არაპროპორციული და გადამეტებული ძალა. პოლიციამ არ დაიცვა სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა და წესები. ხოლო რიგ შემთხვევებში, ცალკეული სამართალდამცავების ქმედებები შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. რეზინის ტყვიების მცირე დისტანციიდან თავისა და სახის არეში დამიზნებით სროლის შედეგად, აქციას ბევრი დაზარალებული ჰყავდა¹⁸.

აქციის დაშლისთვის გათვალისწინებული სპეციალური ღონისძიებების გამოყენება მთელი დამის განმავლობაში გრძელდებოდა, რასაც ათეულობით ადამიანის მძიმე ფიზიკური დაზიანება მოჰყვა: 275 პირმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება, ძირითადად - სახის არეში. იმ დამით მხედველობა დაკარგა სამმა ადამიანმა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 39 ჟურნალისტი დაშავდა¹⁹. მიყენებული დაზიანებების გამო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა 28 პირს, მათ შორის ოფთალმოლოგიური ოპერაცია ჩაუტარდა 8-ს, ნეიროქირურგიული – 4 პირს. აქციის დაშლისას დააკავეს 305 მონაწილე, რომლებიც დაკავებისას პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობენ²⁰.

20-21 ივნისს განვითარებული მოვლენები საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო იმ სავალალო შედეგების თავიდან აცილება, რაც ამ მოვლენებს სდევდა თან და რამაც კიდევ უფრო გააღრმავა პოლარიზაცია ქართულ საზოგადოებაში. საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ მოქალაქეებზე ძალის გადამეტებისა და ძალადობის არაერთი ფაქტი, რომელთა უმრავლესობაც სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩა. 20-21 ივნისის მოვლენები ქვეყნისთვის წლების განმავლობაში არსებული პრობლემების გადაუჭრელობის ნათელი მაგალითია. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ არ არსებობს სამართალდამცავი სისტემის დეპოლიტიზაციისა და გაჯანსაღების პოლიტიკური ნება და გარანტიები, რომ ადამიანები საკუთარი შეკრების თავისუფლების გამოხატვისას კვლავაც არ გახდებიან სახელმწიფოს მხრიდან გადამეტებული ძალის მსხვერპლნი. ინსტიტუციურ დონეზე კვლავაც რჩება აქციის დაშლისას სპეციალური საშუალებების გამოყენების და

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ჟურნალისტური ეთიკის ქართვის მონაცემები: <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/73244-zhurnalistsbis-mimarthva-saqarthvelos-mthavrobas-shs-ministrs-da-diplomatiur-korpuss>

²⁰ იქვე.

დემონსტრაციებზე წესრიგის მართვის მიმართულებით არსებული სისტემური ხარვეზები.

დემონსტრაციების სიხშირისა და მასშტაბურობის პარალელურად, შსს-ს მიერ 2019 წელს აქტიურად გამოიყენებოდა აქციის მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით დაკავების პრაქტიკა. ამის ნათელი მაგალითია 20-21 ივნისის მოვლენებისას 342 პირისთვის თავისუფლების შეზღუდვა. ამან კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს სახელმწიფო კვლავ მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვისთვის ინარჩუნებს. ფუნდამენტური პრობლემა, რომელიც სამართალდარღვევის საქმეებში მტკიცების ტვირთის განაწილების წესისა და მტკიცების სტანდარტების არარსებობას უკავშირდება, ნათლად გამოჩნდა როგორც 20-21 ივნისის აქციის მონაწილეთა, ისე სხვა აქციაზე დაკავებულ პირთა საქმეებში. არსებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს საქმეზე მიუკერძოებელ და სამართლიანი განხილვის პროცესს, რაც გასული წლების მსგავსად კვლავ ტოვებს ფუნდამენტური უფლებების დარღვევის მაღალ რისკებს.

• აქციის მონაწილეთა სისხლისსამართლებრივი დევნა

2019 წელს საქართველოში მომრავლდა დაკავებისა თუ სამართლებრივი დევნის იმგვარი ფაქტები, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს ბევრ ეჭვსა და კითხვას უჩენს. პოლიტიკოსების გარდა, ძველი თუ ახალი საქმეების გამო, სხვადასხვა დროს, მართლმსაჯულებას ბრალდებულის სტატუსით გადაეცნენ მედიის წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები თუ ბიზნესმენები, მაგალითად: **ნიკანორ მელია** - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი. ამავე საქმეზე დააკავეს „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი - **ირაკლი ოქრუაშვილი**. 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ბოლო ინფორმაციით, აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით, პასუხისგებაში მიცემულია სულ 17 პირი. დაკავებულებიდან ორი სამართალდამცველია. ამ დროისთვის, შსს-ს 67 თანამშრომელი და მხოლოდ 7 სამოქალაქო პირია დაზარალებულად ცნობილი, რაც ამძაფრებს ეჭვს გამოძიების მიკერძოებულად მიმდინარეობის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მაგალითისთვის, საქართველოს პროკურატურამ, 19 წლის **მაკო გომური**, რომელმაც 20 ივნისის ღამეს რეზინის ტყვიის სროლის შედეგად თვალი დაკარგა, 2019 წლის 11 ნოემბერს, 5 თვის შემდეგ ცნო დაზარალებულად. თავდაპირველად მას როგორც პროკურატურამ, ასევე შემდგომში თბილისის საქალაქო სასამართლომაც, სადაც მიმდინარეობდა სამართალწარმოება დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, უარი განუცხადა აღნიშნული სტატუსის მინიჭებაზე. აგრეთვე, დაზარალებულებს შესაძლებლობა არა აქვთ, სრულყოფილად გაეცნონ საქმის მასალებს.

დაკავებულთა შორის იყო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის – „ნაკრესის“ გამგეობის წევრი და კონსერვაციის პროგრამის დირექტორი **ბეჟან ლორთქიფანიძე**, რომლის მიმართ წაყენებული ბრალი საეჭვო გახდა მის ქმედებასთან დაკავშირებით მედიის მიერ გავრცელებული სრული ვიდეორჩანანერის შემდეგ. სამოქალაქო საზოგადოების პროტესტის შემდეგ მას

პატიმრობის ალკვეთი ღონისძიება გირაოთი შეეცვალა. კითხვებს ბადებს პანკისის ხეობაში სუს-ის სპეცოპერაციის შედეგად მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის ბიძაშვილის **მორის მაჩალიკაშვილის დაკავება**. საგამოძიებო ორგანოს მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები ვერ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას მორის მაჩალიკაშვილმა მონაწილეობა მიიღო ჯგუფურ ძალადობაში. მითუმეტეს, საეჭვოა მტკიცება, რომ იგი თავს დაესხა ადგილზე მყოფ პოლიციის თანამშრომლებს ან ჩაიდინა რაიმე სხვა ძალადობრივი ქმედება.

18 ნოემბერს, ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანია „მთავარის“ მეწილე **გიორგი რურუა** დააკავეს. მისი ადვოკატების ინფორმაციით, გიორგი რურუას ბრალი სათანადო მტკიცებულებების გარეშე წარუდგინეს და მას იარაღი „ჩაუღდეს“.

• აქციები პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით

2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებული ტრაგიკული მოვლენების საპასუხოდ, მმართველი პოლიტიკური ძალა საჯაროდ დაპირდა მოსახლეობას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას, რაც დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციისა და საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნას. შესაბამისად, ივნისის საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი სწორედ არჩევნების სამართლიანად ჩატარების დაპირება იყო, რამაც თავის დროზე, შექმნილი ვითარების დევსკალაციასაც შეუწყო ხელი და დადებითად შეფასდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდანაც.

16

ეს დაპირება არ შესრულდა. 2019 წლის 12 ნოემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა დეპუტატებმა ჩააგდეს კანონპროექტი, რომლითაც უნდა მომხდარიყო პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, რასაც პარლამენტის წინ მორიგი მძლავრი საპროტესტო ტალღა მოჰყვა²¹. აქციის მონაწილეებმა რამდენჯერმე სცადეს პარლამენტის შენობის პიკეტირება, მაგრამ სპეციალური დანიშნულების რამზებმა მათ წინააღმდეგ ძალა გამოიყენეს და ორჯერ - 18 და 26 ნოემბერს, წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალეს. 28 ნოემბერს კი, რკინის ჭებირების მეშვეობით გადაკეტეს პარლამენტის შესასვლელამდე მიმავალი გზა²².

პარლამენტის ბლოკირების კანონთან მანიფესტანტების ქმედებების წინააღმდეგობის მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოების ქმედებები და მათ მიერ გამოყენებული ძალა კვლავ არაპროპორციული იყო.

პოლიციამ აქციების მიმდინარეობისას ადმინისტრაციული წესით ათეულობით პირი დააკავა, რომელთა უმეტესობასაც ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა. 20-21 ივნისის მოვლენებისას დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც სასამართლოში საქმის განხილვა მრავალმხრივი დარღვევებით მიმდინარეობდა.

მმართველი გუნდის გადაწყვეტილება, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარების ჩაგდებასთან დაკავშირებით, საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს²³. ამას ცხადჰყოფს მთელი

²¹ იხ. საქ. პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://bit.ly/360Fs11>

²² იხ. რადიო თავისუფლების 2019 წლის 28 ნოემბრის სტატია: <https://bit.ly/350qRkS>

²³ იხ. Public Opinion Survey Residents of Georgia, September-October 2019, 69-69

ოპოზიციური სპექტრის კონსოლიდაციაც ამ იდეის გარშემო და დღემდე მიმდინარე საპროტესტო აქციებიც, რომელმაც თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც მოიცვა. აღსანიშნავია 2019 წლის 2 დეკემბერს სამოქალაქო აქტივისტების მიერ გამართული აქცია ქალაქ მცხეთაში, რაც მმართველი ძალის მხარდამჭერების კონტრაქციის ფონზე მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო შსს-მ 7 პირი დააკავა. მოგვიანებით, თბილისში გამართული აქციაც იგივე სცენარით წარიმართა.

ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ განსაკუთრებით გააძლიერა საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აგრძელებს წინა ხელისუფალთა პრაქტიკას - ოპოზიციურად განწყობილ მომიტინგეებს თავიანთ მხარდამჭერებს უპირისპირებენ და ასევე აქტიურად იყენებენ ადმინისტრაციულ რესურსს. ამასვე მოწმობს რეგიონებიდან საჯარო სექტორში დასაქმებულების, მასწავლებლების, სტუდენტების, მოსწავლეებისა და სხვა პირების თბილისში ჩამოყვანა 2 დეკემბერს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის მიერ გამართულ კონცერტზე, რომელიც მათი თქმით, ევროსაბჭოს მიერ საქართველოსთვის თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსის მინიჭებას უკავშირდებოდა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „გაერთიანებული ოპოზიციის“ ოფისებზე განხორციელებული თავდასხმები²⁴. ასევე, დაუშვებელია ხელისუფლების მიერ აგრესიულად განწყობილი ჯგუფებისა და მშვიდობიანი მანიფესტანტების ერთიან კონტექსტში შეფასება, რაც მშვიდობიანი მომიტინგეების მიერ საკუთარი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზებას უქმნის საფრთხეს.

არსებული დაძაბული ფონი სიტუაციის კიდევ უფრო ესკალაციის საფრთხეს ბრძის, განსაკუთრებით - 2020 წელს, მომავალი საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში. ამიტომ, აუცილებელია, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა, ასევე საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციები და უზრუნველყოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანი წესით ჩატარება, მშვიდ გარემოში.

• პანკისის ხეობაში მომხდარი დაპირისპირება

2019 წლის 21 აპრილს დილით შსს-მ პანკისის ხეობაში დიდი მასშტაბის საპოლიციო ძალა შეიყვანა, მათ შორის - სპეციალური დანიშნულების რაზმი. მობილიზების მიზეზი იყო შსს „ალაზანი ენერჯის“ მიერ ხეობაში დაგეგმილი ჰესის - „ხადორი 3-ის“ მშენებლობის განახლება. მანამდე პანკისის ხეობაში მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტის დროს ითქვა, რომ ხელისუფლება დაგეგმავდა ექსპერტების მონაწილეობით ამ საკითხის განხილვას. თუმცა, მოსახლეობა არც ამჯერად იყო ინფორმირებული ჰესის მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სამუშაოების განახლების შესახებ ხეობაში გამოჩენილი ტრაქტორით გაიგო. ამან მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია, რასაც პოლიციასთან დაპირისპირება მოჰყვა. სპეცრაზმის დახმარებით მშენებლობის პროცესი ისე განახლდა, რომ ხელისუფლებას სათანადოდ არ ჰქონდა ამოწურული ადგილობრივ თემთან მოლაპარაკების რესურსი. აქციის

²⁴ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2ETJQD9>

მონაწილეებსა და პოლიციას შორის დილით მომხდარი შეტაკების შემდეგ ჰესების საკითხზე სალაპარაკოდ თელავში მთავრობის წარმომადგენლები ჩავიდნენ, მათ შორის - იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი გახარია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მაია ცქიტიშვილი და გარემოს დაცვის მინისტრი, ლევან დავითაშვილი. ადგილობრივებისა და მთავრობის წევრების შეხვედრის პარალელურად პანკისში ვითარება დაიძაბა. სპეცრაზმმა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ორჯერ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. ადგილობრივებმა კი პოლიციას ქვები და ხელკეტები დაუშინეს. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, განვითარებული მოვლენების შედეგად დაშავდა 55 ადამიანი, მათ შორის 38 სამართალდამცავი, და 17 მოქალაქე.

• ბუბა ნაჭყებიას საქმე

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, 2019 წელს, განსაკუთრებით საყურადღებოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, ბუბა ნაჭყებიას საქმე.

ძველი თბილისის პოლიციის სამმართველომ ბუბა ნაჭყებიას წინააღმდეგ გამოძიება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დაიწყო, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს. კერძოდ, ბუბა ნაჭყებია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, სოციალურ ქსელ ფეისბუქის თსუ-ის სტუდენტების 3000-წევრიან დახურულ ჯგუფში, ამავე უნივერსიტეტის ლექტორის - გიორგი გორაშვილის შესახებ შეურაცხყოფელი პოსტი დაწერა, რომლის ტექსტიც ლექტორს გაუგზავნეს. მისი მიმართვის საფუძველზე, პოლიციამ გამოძიება დაიწყო. მოცემულ ფაქტზე სამართალწარმოების დაწყებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც სამოქალაქო, ასევე აკადემიურ წრეებში და იგი შეფასდა როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის სახიფათო პრეცედენტი. საქმეზე მწვავე განცხადებები გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.²⁵ 2019 წლის 25 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბუბა ნაჭყებია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე (წვრილმანი ხულიგნობა), ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო, მაგრამ სამართალდამრღვევის პიროვნების შეფასებისა და გარემოებების გათვალისწინებით, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე, სახდელისაგან გაანთავისუფლა. გადაწყვეტილება მხარემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2019 წლის 9 დეკემბერს გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

მედიის თავისუფლება

საქართველოში, გასული წლების მსგავსად, მედიაგარემო პლურალისტურია, მაგრამ ამავე დროს - პოლარიზებული. პრაქტიკა აჩვენებს, რომ პოლარიზაციის დონე განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში იზრდება.

²⁵იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2019 წლის 14 აგვისტოს განცხადება: <https://bit.ly/30cXbQT>

შესაბამისად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით, მოსალოდნელია პოლარიზაციის ხარისხის კიდევ უფრო გაზრდა.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს სახელმწიფოში მედიამფლობელობის გამჭვირვალობას. შესაბამისად, ქართულ მედიაბაზარზე არ არის წარმოდგენილი უცხოური მედიაკომპანიები. საქართველოში, მედიამფლობელებად ვხვდებით ძირითადად ისეთ პირებს ან კომპანიებს, რომლებიც ხელისუფლებასთან ან ოპოზიციასთან იმყოფებიან კავშირში, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კონკრეტული მედიაორგანიზაციების სარედაქციო პოლიტიკასა და მედიის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე²⁶.

2019 წელს არაერთი საქმის ირგვლივ გაჩნდა კითხვები ხელისუფლების შესახებ მცდელობაზე, გაანეიტრალოს კრიტიკული მედიასაშუალებები, რაც საფრთხეს უქმნის მედიაპლურალიზმის განვითარებას. ამის მაგალითია მთავარი არხის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიასა და TV „პირველის“ 100% წილის მფლობელის, ვახტანგ წერეთლის დაბარება საქართველოს პროკურატურაში და მათ მიმართ დაწყებული სისხლისამართლებრივი წარმოება. ასევე, განსაკუთრებული კრიტიკის საგანს წარმოადგენს აქციის სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშლისას ჟურნალისტებისადმი განხორციელებული ძალადობის არაერთი ფაქტი.

2019 წლის 20 დეკემბერს სოციალურმა ქსელმა Facebook-მა თავისი პლატფორმიდან 418 ქართული ანგარიში (39 პროფილი, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 Instagram-ანგარიში) წაშალა. ამის მიზეზი წაშლილი ანგარიშების კოორდინირებული და არაავთენტური ქცევა გახდა. ატლანტიკური საბჭოს ციფრული კრიმინალისტიკის ლაბორატორიის თანახმად, რომელიც Facebook-თან თანამშრომლობს და მას დემინფორმაციული კამპანიების შესახებ ინფორმაციას აწვდის, აღნიშნულ გვერდებზე მკვეთრად ანტიამერიკული შინაარსის შემცველი პოსტებიც გრცელდებოდა. Facebook-ის განცხადების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშების უკან მდგომი ადამიანები ცდილობდნენ, თავიანთი იდენტობა და კოორდინირებული მუშაობა დაეფარათ, მათი გამოძიებით, ეს აქტივობები საქართველოში მოქმედ სარეკლამო კომპანია „პანდასა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას უკავშირდება. ამ გვერდებმა დაახლოებით 316 000 აშშ დოლარი Facebook-სა და Instagram-ზე რეკლამაში, ანუ პოსტების დასპონსორებაში დახარჯეს.²⁷

• ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლა

განსაკუთრებით შემამფოთებელია სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენლებისადმი განხორციელებული ძალადობის ფაქტები თბილისში 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენებისას. ჯერ კიდევ აქციის დარბევამდე რამდენიმე საათით ადრე, პოლიცია პარლამენტიდან გამოსულ ჟურნალისტებსა და დეპუტატებს შენობაში დაბრუნების უფლებას არ აძლევდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტებს პარლამენტის შენობა ძალის გამოყენებით

²⁶ იხ. მედიამფლობელობის კონცენტრაცია - საფრთხე მედიის თავისუფლებისთვის - Media Checker <https://bit.ly/2Mvb0V0>.

²⁷ იხ. Fact check- ის სტატია: „ფეისბუქის“ დიდი წმენდა <https://bit.ly/2Qpg8v1>

დაატოვებინეს²⁸. აღვილი ჰქონდა სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენლების სიტყვიერ შეურაცხყოფასა და არასათანადო მოპყრობას. „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტს, გიორგი დიასამიძეს პოლიციელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ტექნიკა დაუბიანეს და ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში²⁹.

20-21 ივნისს, აქციის დაშლისას, შსს-ს მიერ ძალის გადამეტებისა და სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენების მსხვერპლთა შორის, აქციის მონაწილეებთან ერთად, იყვნენ მედიის წარმომადგენლებიც, რომლებიც თავიანთ პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ინფორმაციით, 20 ივნისს აქციის დაშლისას, მედიის 39 წარმომადგენელი დაშავდა. დაშავებულების ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ შესაბამისი სიმბოლიკა, რაც მათ პროფესიას აღნიშნავდა, სპეცრაზმი მათ მაინც დამიზნებით უშენდა რეზინის ტყვიებს³⁰.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებებისა და მათ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე დღემდე არ დაწყებულია სხვა დაზარალებულების საქმეებისაგან დამოუკიდებელი გამოძიება, რომელიც შესაბამისი საგამოძიებო პირობების ფარგლებში, საკითხის სენსიტიურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოახდენდა სისხლისსამართლებრივ საქმეზე შესაბამისი ეფექტიანი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელებასა და ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას თითოეულ ასეთ შემთხვევაზე.

20-21 ივნისს დაზარალებულ არცერთ ჟურნალისტს არ მინიჭებია დაზარალებულის სტატუსი, იმის მიუხედავად, რომ რიც შემთხვევებში, მათ მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედება მათ მიერვე იქნა გადაღებული და აღნიშნული კადრები ხელმისაწვდომია როგორც გამოძიებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის. შესაბამის ორგანოთა მსგავსი უმოქმედობა მიანიშნებს პოლიტიკური ნების დეფიციტზე, რაც ასევე ცალსახად გამოიკვეთა წარსულში აქციების დარბევის დროსაც (2007 წ. 7 ნოემბერი, 2011 წ. 26 მაისი). სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. ასევე, შსს-ს არცერთ მაღალჩინოსანს არცერთ შემთხვევაში არ აუღია პასუხისმგებლობა სამართალდამცავთა მხრიდან ჟურნალისტთა მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე. ანგარიშვალდებულების დეფიციტი კი ხელს უშლის პრევენციას, რაც საქართველოში მედიის წარმომადგენლებს კვლავაც მონყვლადს ხდის მომავალში მსგავს სიტუაციებში, სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობისადმი.

• აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე მოვლენები

2019 წლის 19 აპრილიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო დირექტორის გარეშე დარჩა - მას შემდეგ, რაც ყოფილ დირექტორს ნათია კაპანაძეს მრჩეველთა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა და იმპიჩმენტის წესით გადაირჩია. მას საბჭოს ოთხმა წევრმა გამოუცხადა უნდობლობა. პროცესის ირგვლივ არსებული კითხვებიდან გამომდინარე, ეს

²⁸ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2sbowGJ>

²⁹ იხ. სტატია: <https://bit.ly/2Omccgxp>

³⁰ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2n8XEUP>

ფაქტი უარყოფითად შეფასდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე სახალხო დამცველის მიერ.³¹

შემდგომში დირექტორის თანამდებობისთვის ოთხჯერ გამოცხადებული კონკურსიდან სამში საბჭომ ვერ მოახერხა კანდიდატის შერჩევა იმის გამო, რომ დირექტორობისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა, ხოლო მეოთხე კონკურსი სასამართლოს მეშვეობით შეჩერდა. ამის წყალობით პროცესი 5 თვის განმავლობაში იყო გაყინული, შედეგად კი ახალი დირექტორის დანიშვნის შესაძლებლობა მიეცა ახლადარჩეულ მრჩეველთა საბჭოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აჭარის უმაღლეს საბჭოში იქმნება კომისია, რომელმაც საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს კანდიდატები უნდა შეარჩიოს და წარუდგინოს უმაღლეს საბჭოს.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ნაწილმა, მათ შორის - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია ზოიძემ, ჯერ კიდევ 2019 წლის 30 სექტემბერს განაცხადა, რომ ტელევიზია ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებისა და განსაკუთრებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მაუწყებლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო, სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის საფრთხის წინაშეა³².

აჭარის მაუწყებლის მრჩეველთა ახალმა საბჭომ, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორად გიორგი კოხრეიძე აირჩია. მისი არჩევის შემდეგ აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტებმა აქცია გამართეს და მოუწოდეს ახალ დირექტორს, შეწყვიტოს თანამშრომლების შანტაჟი და თვალთვალი³³.

გიორგი კოხრეიძე ტელეკომპანიის რეორგანიზაციას გეგმავს და აცხადებს, რომ ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები მიკერძოებულია. ჟურნალისტები კი მას სარედაქციო საქმიანობაში ჩარევაში აღანაშაულებენ.

აჭარის ტელევიზია და რადიო ნათია კაპანაძის დირექტორობის პერიოდში არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ავტორიტეტული ორგანიზაციის მხრიდან შეფასდა, როგორც თავისუფალი, მიუკერძოებელი და მზარდი ინსტიტუტი, მკვეთრად პოლარიზებულ და პოლიტიზებულ მედიაგარემოში³⁴.

2019 წლის 23 დეკემბერს, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორმა გიორგი კოხრეიძემ, მისი პირველი მოადგილის ნათია ზოიძის ხელშეკრულებაში ცვლილება შეიტანა და ამოიღო ის პუნქტები, რითაც მაუწყებლის სამივე პლატფორმაზე კოორდინაცია და პოლიტიკის შემუშავება ვგალებოდა.

ნათია ზოიძე კოხრეიძის არჩევის შემდეგ საუბრობდა, რომ დირექტორს მისი ხელშეკრულების შეცვლა და სარედაქციო პოლიტიკიდან ჩამოშორება უნდოდა, რის გამოც გიორგი კოხრეიძე მას ფაქტების გასაჯაროებითაც ემუქრებოდა, რომ თუ არ ჩამოშორდებოდა, მაშინ მის პოლიტიკურ გავლენებთან დაკავშირებით გასაჯაროვდებოდა ფაქტები. ნათია ზოიძის თქმით, როდესაც ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ რას გულისხმობდა, მას აღარ დაუკონკრეტებია, რა

³¹ მედიის ინსტიტუტის განცხადება აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის იმპიჩმენტის საკითხზე <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19838&lang=geo>

³² იხ. On.ge-ის 2019 წლის 30 სექტემბერის სტატია: <https://bit.ly/34XAW23>

³³ <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/78003-qnu-chaereviq-atcaris-televiziis-zhurnalistebi-direktoris-tsinaaghmdg>.

³⁴ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება: <https://bit.ly/2ZBaQ3M>

ფაქტზე საუბარი, მაგრამ პირისპირ შეხვედრის დროს, რომელიც მათ შორის ადრე გაიმართა, კობრეიძემ უთხრა, რომ სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, კერძოდ, მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით გადაცემა³⁵.

აჭარის ტელევიზიის ახალი დირექტორის, გიორგი კობრეიძის არჩევის შემდეგ, ტელევიზიის ჟურნალისტების ნაწილი ღიად საუბრობს მათი სარედაქციო დამოუკიდებლობის შესაძლო ხელყოფაზე³⁶.

მედიათავისუფლებისა და მედიაპლურალიზმისთვის აღნიშნული მოვლენები მკვეთრად ნეგატიურად უნდა შეფასდეს. აუცილებელია, შენარჩუნდეს ტელეკომპანიის სარედაქციო დამოუკიდებლობა, ხოლო ჟურნალისტთა და ტელეკომპანიაში დასაქმებულ პირთა უფლებები იყოს დაცული.

• „რუსთავი 2“-ის საქმე

2019 წლის 18 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე გადანწყვტილება გამოაცხადა. ევროპულმა სასამართლომ, ერთი მოსამართლის გამოკლებით, ერთხმად მიიღო გადანწყვტილება და სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანწყვტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე მის მიერ მანამდე გამოყენებული დროებითი ღონისძიება.

22

სტრასბურგის სასამართლოს გადანწყვტილებას თან ერთვის მოსამართლე დე გაეტანოს პოზიციის განმარტება, რომელიც ორ ნაწილში არ ეთანხმება დანარჩენ ექვს მოსამართლეს. კერძოდ, დე გაეტანო მიიჩნევს, რომ საქალაქო და უზენაეს სასამართლოებმა დაარღვიეს საქმის სამართლიანი განხილვის უფლება³⁷.

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადანწყვტა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისა და უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის, მათ შორის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.

„რუსთავი 2“ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოს ევროკონვენციის ოთხი მუხლის დარღვევას ედავებოდა. საუბარია სამართლიანი სასამართლოს უფლების, საკუთრების უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების მუხლებზე. „რუსთავი 2“ ითხოვდა, საკუთრებისა და გამოხატვის უფლებების მუხლებთან ერთად, არალეგიტიმური მიზნით კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გამოყენების მუხლის დარღვევაც დადგენილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში აღნიშნული გადანწყვტილების გასაჩივრების

³⁵ იხ. <https://netgazeti.ge/news/410578/>

³⁶ იხ. დეტალური ინფორმაცია: <https://bit.ly/37bJlei>

³⁷ იხ. tabula.ge-ის სტატიები - რუსთავი 2-ის საქმე: <https://bit.ly/2ZuUc5V>

შესაძლებლობა, საჯარო რეესტრმა ქიბარ ხალვაშის განცხადება ტელეკომპანიის შესაკუთრის ცვლილების შესახებ იმავე დღეს, 2019 წლის 18 ივლისს დააკმაყოფილა. რუსთავი 2-ში, ქიბარ ხალვაშის ადვოკატი, პაატა სალია მივიდა, რომელმაც განაცხადა, რომ არ შეიცვლებოდა არხის სარედაქციო პოლიტიკა და არც თანამშრომელთა განთავისუფლება იგეგმებოდა. ამის შემდეგ, შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის პარტნიორთა კრება გაიმართა. კრების გადაწყვეტილებით, ნიკა გვარამია გათავისუფლდა ტელეკომპანიის დირექტორის თანამდებობიდან და დირექტორად ხალვაშის ადვოკატი, პაატა სალია დაინიშნა. აღნიშნულს წინ უძღვოდა „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის, ნოდარ მელაძის განცხადება პირდაპირ ეთერში, ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემის გუნდის სახელით, რომ მხარდაჭერას უცხადებდნენ ნიკა გვარამიას და ამბობდნენ, რომ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი არხის სარედაქციო პოლიტიკის მთავარი გარანტი იყო. გარდა ამისა, მათ მოუწოდეს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრს, არ დაერეგისტრირებინა შესაკუთრების ცვლილება, ვიდრე „რუსთავი 2“ არ გამოიყენებდა უფლებას, გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება სტრასბურგის სასამართლოს დიდ პალატაში. მათ, აგრეთვე, მოითხოვეს, რომ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრს არ დაერეგისტრირებინა გენერალური დირექტორის ცვლილება, რადგან ნიკა გვარამიას არსებული კონტრაქტი მენეჯმენტის ცვლილებას 2020 წლის ბოლომდე არ ითვალისწინებდა და ეს, მათი განცხადებით, კანონდარღვევა იქნებოდა. აღნიშნულის საპასუხოდ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანი განაცხადა, რომ სახელმწიფოს გადასაწყვეტი არ იყო, როდის უნდა აღსრულებულიყო სტრასბურგის გადაწყვეტილება და ახალ შესაკუთრეს ჰქონდა გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება.

2019 წლის 14 აგვისტოს ქიბარ ხალვაშმა ტელეკომპანიის გაყიდვის სურვილი გამოთქვა³⁸ და პოტენციურ მყიდველებს ერთი კვირის ვადა მისცა, მაგრამ რადგანაც მსურველი არ გამოჩნდა, 19 აგვისტოს განაცხადა³⁹, რომ ტელეკომპანიას არ გააკოტრებდა და „რუსთავი 2“ იქნებოდა „პოლიტიკურად დამოუკიდებელი“ ტელეკომპანია.

2019 წლის 20 აგვისტოს, „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, პაატა სალიამ ნოდარ მელაძე საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლა და განაცხადა, რომ ნოდარ მელაძის გათავისუფლება უარყოფითად არ აისახებოდა არხის სარედაქციო დამოუკიდებლობაზე, რადგან, „ერთი ადამიანი ვერ იქნებოდა სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტი“⁴⁰. იმავე დღეს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ შვებულებიდან გამოსვლის შემდეგ არხს დატოვებდნენ საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემების წამყვანები ეკა ჯვესიტაძე და გიორგი გაბუნია, ასევე - პროდიუსერი გიორგი ლაფერაშვილი⁴¹. ამ განცხადების საპირისპიროდ, სალიამ ტელეკომპანიის თანამშრომლები შვებულებაში ყოფნის პერიოდში განთავისუფლა სამსახურიდან. საპასუხოდ, გიორგი გაბუნიამ და სხვა განთავისუფლებულმა პირებმა განაცხადეს, რომ სასამართლოში დაიწყებდნენ დავას, რადგან მათი განმარტებით, ტელეკომპანიამ უკანონოდ დაარღვია მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები. პაატა სალიას განმარტებით, მათი

³⁸ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2MObnKA>

³⁹ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2rLJ2xg>

⁴⁰ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2ZH1LXv>

⁴¹ ინფორმაცია იხილეთ ვრცლად: <https://bit.ly/2FeTYqe>

განთავისუფლების მიზეზი გახდა „ინტერესთა კონფლიქტი“, ვინაიდან მათ წინააღმდეგ სამოქალაქო დავის დაწყებას აპირებდა კომპანიისადმი მიყენებული ფინანსური ზარალის გამო. ეკა კვესიტაძესთან დაკავშირებით კი დააკონკრეტა, რომ სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზი გახდა მისი სურვილი ნიკა გვარამიასთან ერთად გაეკეთებინა ახალი არხი.

გემოალნიშნული მოვლენების განვითარების შემდეგ, იმავე დღეს, 2019 წლის 20 აგვისტოს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში „კურიერი“ სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. გადაცემა დატოვეს „კურიერის“ წამყვანებმა - დიანა ჯოჯუამ და მიხეილ სესიაშვილმა. ამის შემდეგ, სოლიდარობის ნიშნად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ არაერთმა თანამშრომელმა დატოვა საკუთარი ნებით.

• TV პირველი

სამოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლების - ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძის მიმართ საქმის აღძვრიდან ერთი წლის შემდეგ, 8 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მაგისტრეტი მოსამართლის თანდასწრებით გამოიკითხა ტელეკომპანია „პირველის“ 100%-იანი წილის მფლობელი, ვახტანგ წერეთელი. ვახტანგ წერეთელი იმ საქმის მთავარი ფიგურანტია, რითაც პროკურატურა მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს „ფულის გათეთრებას“ ედავება. იგი თავიდანვე იყო ინიციალებით (გ.წ.) მოხსენიებული იმ გახმაურებულ წერილში, რომელიც მამუკა ხაზარაძემ გაავრცელა და პროკურატურას მიაწოდა. თუმცა, ბიზნესმენი ვახტანგ წერეთელი გამოკითხვაზე არც კი დაუბარებიათ.

24

მამუკა ხაზარაძის თქმით, მას იმიჯის შელახვით ემუქრებოდნენ, მაგრამ მან მაინც გაავრცელა წერილი.⁴² მისივე თქმით, ეს წერილი მან საპრემიენდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გიორგი გახარიასგან მიიღო. როგორც ხაზარაძემ განაცხადა, ამ წერილით გიორგი გახარია "რეპუტაციის დანგრევით" ემუქრებოდა. აღნიშნულ დოკუმენტში, რომელიც მოგვიანებით პროკურატურამ გამოაქვეყნა, საუბარია მოთხოვნაზე, რომელიც "TV პირველის" სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას ეხება.⁴³ სწორედ ამ წერილის გავრცელების შემდეგ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ აღიძრა საქმე ფულის გათეთრებაზე, მოგვიანებით კი - ვახტანგ წერეთლის წინააღმდეგ. დაწყებული გამოძიებით დაზარალდა ანაკლიის პორტის მშენებლობაც, რადგან ლოგიკურად, ინვესტორები უფროთხიან ისეთ პარტნიორებთან თანხის დაბანდებას, რომლებსაც გამოძიება ფულის გათეთრებას ედავება.

მართალია, „ფულის გათეთრების“ საქმე ვახტანგ წერეთლის სხვა კომპანიებს - „სამგორი M“-სა და „სამგორი თრეიდს“ შეეხება, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ პროცესის მთავარი სამიზნე სწორედ ტელეკომპანია „პირველია“⁴⁴. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გემოალნიშნულ წერილში, მამუკა ხაზარაძის განცხადებით, ხელისუფლება (გიორგი გახარია) სწორედ TV „პირველის“ „იმედის“ ტრენდზე გადასვლას ითხოვდა.

აღნიშნულ ეჭვს კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ 2019 წლის 25 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა TV „პირველს“, „კავკასიასა“ და „რუსთავი 2“-ს, გადასახადების გადაუხდელობით დაგროვებული

⁴² იხ. წერილის ელექტრონული ვერსია: <https://bit.ly/2NdHpzR>

⁴³ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2uyv27r>

⁴⁴ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/37bTUDC>

დავალიანების გამო, ინკასო დაადო, რითაც ტელევიზიებს ფინანსური ოპერაციების განხორციელება შეეზღუდათ⁴⁵. ფინანსთა სამინისტრომ ტელეკომპანიებს 1-დღიანი ვადა მისცა პირველი ოქტომბრიდან დროის პერიოდში დაგროვილი დავალიანების ძირი თანხის დასაფარად, თუმცა იგივე არ გაუკეთებია ძველ დავალიანებებთან დაკავშირებით, რაც ტვ კავკასიისა და ტვ პირველის შეფასებით, სხვა ტელევიზიებს მათთან მიმართებაში უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ძველი დავალიანებები ერიცხებათ, მათ შორის, ხელისულებისადმი ლოიალურად განწყობილ ტელეკომპანიებს „იმედი“ და „მაესტრო“.⁴⁶

- **საზოგადოებრივი მაუწყებელი**

2018 წელს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელიდან ათობით თანამშრომელი განთავისუფლდა. ისინი მაუწყებელში დასაქმებული იყვნენ განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, რომლებიც დასაქმებულებთან გრძელვადიანი ურთიერთობის ხედვას აყალიბებდა და მათთვის მეტი სოციალური სტაბილურობის შექმნაში უნდა შეეწყობა ხელი.

მიუხედავად ამისა, 2018 წლის აგვისტოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ათობით თანამშრომელმა მიიღო ე.წ. „შეთავაზება“ - განსხვავებული ხელშეკრულებების თაობაზე, რითაც დასაქმებულთა საწინააღმდეგოდ სრულად იცვლებოდა სამუშაო პირობები.

უკანონოდ გათავისუფლებული პირების უფლებების დასაცავად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფესიულმა კავშირმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს, დასაქმებულთა შრომითი უფლებების აღდგენის მოთხოვნით. ადამიანის უფლებათა ცენტრი სასამართლოში საზოგადოებრივი მაუწყებელიდან გათავისუფლებული 20 დასაქმებულის ინტერესებს წარმოადგენდა, რომელთაგან 18 საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმატებით დასრულდა⁴⁷.

ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპაცია კვლავაც რჩება ყველაზე დიდ პრობლემად ქვეყნისთვის, ხოლო ადამიანის უფლებათა მდგომარეობა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავაც შემოფოთების საგანია უფლებადამცველი ორგანიზაციებისათვის. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვა მინიმალურ დონეზეც ვერ ხერხდება, რადგან არ არსებობს უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად ეფექტიანი მექანიზმები, რომელიც უნდა ქმნიდეს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს⁴⁸.

⁴⁵ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2EUtU3E>

⁴⁶ ინფორმაცია ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/416712/>

⁴⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული საქმეები, 2019: <https://bit.ly/2Ndk9SR>

⁴⁸ იხ. ათი წელი აგვისტოს ომიდან: დამარალებულთა მდგომარეობა საქართველოში, 2019 <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/geo-10%20years%20after%20august%20war..pdf>

ოკუპირებულ რეგიონებში მუდმივად ირღვევა ადამიანის უფლებები, მათ შორის - თავისუფალი გადაადგილების, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების და ა.შ. რუსეთის „მცოცავი ოკუპაციის“ გამო, ყოველწლიურად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ოკუპირებულ არეალში ექცევიან. ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ არც საქართველოს სახალხო დამცველსა და არც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არა აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე შეაფასონ სიტუაცია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ უკანონო დაკავების 71 შემთხვევა იდენტიფიცირდა, მათ შორის, დაკავებულთა შორის იყვნენ 9 ქალი და 1 არასრულწლოვანი⁴⁹.

საანგარიშო პერიოდში, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, ე.წ. სამღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, რუსეთის საოკუპაციო ძალებმა 20 პირი დააკავეს, მათ შორის - 1 ქალი და 2 არასრულწლოვანი.

გარდა ამისა, 2019 წელს, ოკუპირებულ აფხაზეთში, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ბაზაზე, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა საქართველოს მოქალაქე **ირაკლი კვარაცხელია**, რომელიც აღნიშნულ ბაზაზე უკანონო დაკავების შედეგად იქნა გადაყვანილი⁵⁰.

ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. საზღვარზე სიტუაცია აგვისტოს ბოლოდან დაიძაბა, მას შემდეგ, რაც საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან კანონიერად გახსნილი პოლიციის საგუშაგოს აღება და უარის შემდეგ, ორი ე.წ. სასამღვრო საგუშაგო განათავსა ჩორჩანასთან მოსამღვრე სოფელ წნელისის მახლობლად, საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე⁵¹.

ამას გარდა, 2019 წლის 4 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ მოსაბრუნის (ე.წ. რაზდახანის) გამშვები პუნქტი ჩაკეტა, რამაც განსაკუთრებით დაამძიმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი და ოსი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა და ჰუმანიტარული კრიზისი შექმნა. ე.წ. საზღვრის ჩაკეტვამ ადგილობრივ მოსახლეობას მოუსპო წვდომა სათანადო სამედიცინო სერვისებზე, საკვებსა და პენსიებზე, რამაც ისინი სრულ იზოლაციაში მოაქცია. გადაადგილების შემლუღვის პირობებში, ცხინვალში არსებული არასათანადო სამედიცინო სერვისების გამო, 2019 წელს რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. მათ შორის იყო ოკუპირებული ახალგორის რაიონის სოფელ იკოთის მკვიდრი **მარგო მარტიაშვილი**⁵².

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორთან ჩაკეტილი სასამღვრო რეჟიმი 2019 წლის 2 დეკემბერს შეარბილა, რითაც მძიმე ავადმყოფებისა და პენსიონრების სპეციალური სიებით ე.წ. საზღვრის კვეთის უფლება მისცა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობისთვის, შემლუღვები კვლავ ძალაში რჩება⁵³.

⁴⁹საქ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი N 216072 ადამიანის უფლებათა ცენტრს.

⁵⁰ იხ. რადიო თავისუფლების სტატია: <https://bit.ly/34ZqNC5>

⁵¹ ინფორმაცია ვრცელად: <https://bit.ly/3503mbG>

⁵² ინფორმაცია ვრცელად: <https://bit.ly/2Sstae8>

⁵³ იხ. „ოკუპირებული ახალგორიდან კიდევ ერთი პაციენტი გადმოიყვანეს“ <https://bit.ly/2ZrG915>

ახალგორის რაიონში მცხოვრები სამოქალაქო აქტივისტის **თამარ მეარაყიშვილის** საქმე, რომელიც სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგამოძიებო ორგანოებმა პირველად 2017 წლის 16 აგვისტოს დააკავეს, კვლავაც აქტიურ პრობლემად რჩება. მიუხედავად მის მიმართ დაწყებული გამოძიების არაერთხელ შეწყვეტისა, 2019 წელს თამარ მეარაყიშვილის წინააღმდეგ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამჯერად მას ბრალად დოკუმენტების გაყალბება და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის უკანონოდ მიღება ედება. მის მიმართ არსებული დაუსაბუთებელი ბრალდებები და მისი აქტივიზმის გამო საოკუპაციო რეჟიმის მიერ შექმნილი პრობლემები, აღნიშნული სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიკურ ხასიათს ცხადყოფს⁵⁴.

აგვისტოს თვეში, სოფელ **გუგუტიანთვარში** რუსეთის მესამდღვრეებისა და საოკუპაციო ძალების მიერ ბორდერიზაციის ახალი პროცესი დაიწყო, რამაც არაერთი ადამიანი მიმდინარე წელსაც აქცია დევნილად⁵⁵.

2019 წლის 24 ოქტომბერს, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წევრები **ჩორჩანა-წნელის** ტერიტორიაზე დროებით დააკავეს. ცხინვალთან მაშინვე გააქტიურდა ცხელი ხაზი და EUMM-ის დამკვირვებლები გაათავისუფლეს⁵⁶.

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა თბილისელი **ეჟიმი ვაჟა გაფრინდაშვილი** 2019 წლის 9 ნოემბერს დააკავეს. სამხრეთ ოსეთის მედიაში მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საოკუპაციო რეჟიმმა 9 და 11 ნოემბერს საქართველოს ოთხი მოქალაქე დააკავა. 13 ნოემბერს, ახალგორში, საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. სასამართლომ სამ მათგანს ფულადი ჯარიმის სახით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა⁵⁷. ხოლო ეჟიმს დე ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. სახელმწიფო საზღვრის განზრახ დარღვევის ბრალდება წაუყენა, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს 200 000 რუბლით დაჯარიმებას, ორ წლამდე იძულებით შრომას, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. 15 ნოემბერს, ე.წ. ლენინგორის სასამართლომ ვაჟა გაფრინდაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ვაჟა გაფრინდაშვილის მიერ ბრალისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრების არალიარების გამო, მის საქმეს იმთავითვე ჰქონდა პოლიტიკური კონოტაცია. ახალგორის დე ფაქტო სასამართლომ ეჟიმი ვაჟა გაფრინდაშვილი 20 დეკემბერს დამნაშავედ ცნო ე.წ. სახელმწიფო საზღვრის განზრახ უკანონო გადაკვეთაში და სასჯელის სახით 1 წლით და 9 თვით პატიმრობა მიუსაჯა. იგი, 2019 წლის 28 დეკემბერს, 49-დღიანი ტყვეობის შემდეგ, ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობის შედეგად გაანთავისუფლეს.

ტყვეობაში მყოფი ეჟიმის მხარდაჭერაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის „ნითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტს, რომელმაც ტყვეობაში მყოფი ეჟიმი ცხინვალის ციხეში ორჯერ, 18 და 28 ნოემბერს, სირთულეების მიუხედავად, საკუთარი საერთაშორისო ჰუმანიტარული მანდატის ფარგლებში,

⁵⁴ იხ. EMC-ის მიერ, თამარ მეარაყიშვილის საქმის შეფასება: <https://bit.ly/2QePuoA>

⁵⁵ იხ. სტატია - „გუგუტიანთვარი - ახალი ოკუპაციის ორი კვირა“: <https://bit.ly/35YqLfb>

⁵⁶ იხ. სტატია - „ჩორჩანა-წნელისის მიდამოებში ევროკავშირის მისიის დამკვირვებლები დააკავეს“: <https://bit.ly/2QibUVp>

⁵⁷ იხ. ინფორმაცია გრცლად: <https://bit.ly/2t1Yi9y>

მოლაპარაკებების შემდეგ მოინახულა⁵⁸. ოკუპანტების მიერ უკანონოდ დაკავებული ვაჟა გაფრინდაშვილის განთავისუფლების მოთხოვნით, თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომაც გაავრცელა განცხადება და მოუწოდა რუსეთს, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, მათ შორის - ძალების გაყვანა კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, ამ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფა და საქართველოს რეგიონების: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის გაუქმება⁵⁹.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სხვა ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ერთად, ვაჟა გაფრინდაშვილის საქმეზე ევროპის საბჭოს ინსტიტუტებს მიმართეს. მათ შორის, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, საპარლამენტო ასამბლეასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით, კრიზისიდან გამოსასვლელად.⁶⁰

სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლება, საოკუპაციო რეჟიმებთან ერთად, აგრძელებს პროვოკაციულ ქმედებებს, რომელთა შედეგად ყოველდღიურად უამრავი ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები ირღვევა.⁶¹

ავგისტოს ომიდან 11 წლის შემდეგაც დაზარალებული ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ პრობლემას აწყდებიან, ხოლო სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები არასაკმარისია მათი პირობების გასაუმჯობესებლად. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები განსაკუთრებით მწვავეა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში - ამ კუთხით მათ შორის, აღსანიშნავია გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები, დასაქმების შესაძლებლობების არარსებობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამოწყების შეუძლებლობა, სამედიცინო სერვისების უქონლობა, საარსებო წყაროების და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.⁶²

მნიშვნელოვანია, ასეთ პირობებში, საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურად გააძლიეროს საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენება. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ, ვერ გადადგა ქმედითი ნაბიჯები, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით, რათა ჰუმანიტარული დახმარების შემთხვევაში ადამიანების გადაადგილების უფლება ოკუპირებული ზონებიდან იყოს რეალიზებული. მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, საქართველოს მთავრობამ ახალგორში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის საპასუხოდ დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით არ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რის საშუალებასაც იძლევა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი.

მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ, სხვადასხვა გზების გამოყენებით, გააძლიეროს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობა და მის ხელთ

⁵⁸ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/35hilOT>

⁵⁹ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2ZNuHNA>

⁶⁰ ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, 27.11.2019 <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20003&lang=geo>

⁶¹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში: „მავთულხლართების ზონა - ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე“, 2019 <https://bit.ly/37N47a8>

⁶² იხ. უფლებადამცველი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: 11 წელი ავგისტოს ომიდან და დღეს არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები <https://bit.ly/35AQ1H6>

არსებული ყველა შესაძლო მექანიზმით, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისთვის.

თანასწორობის უფლება

გასული წლების მსგავსად, 2019 წელსაც თანასწორობის უფლების დაცვა სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შესრულების ნაკლებობა აძლიერებს საზოგადოებაში არასწორი სტერეოტიპებით წარმოშობილ სტიგმასა და დისკრიმინაციას.

თანასწორობის უფლების დაცვის ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება ბოლო წლებში გააქტიურებული ულტრაკონსერვატორული, ნაციონალისტური ჯგუფები, რომელთა ცალსახად დისკრიმინაციული და ცალკეულ შემთხვევებში, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემცველი ქმედებები სახელმწიფო რეაგირების გარეშე რჩება. ამავე დროს, ცალკეულ პოლიტიკოსთა და დომინანტი რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა განცხადებები და სამართალდამცავთა უმოქმედობა აძლიერებს მსგავს ჯგუფებს და ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების დისკრიმინაციის გაზრდას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით, სახალხო დამცველის აპარატმა სავარაუდო დისკრიმინაციის 136 ფაქტი შეისწავლა და 2 შემთხვევაში რეკომენდაცია, ხოლო 1 შემთხვევაში - ზოგადი წინადადება გამოსცა. სახალხო დამცველისადმი სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებზე მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, გასული წლის მსგავსად, კვლავ საჯარო სექტორს უკავშირდება (64%). საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს ყველაზე ხშირად რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის მიზეზით მიმართეს (14.7%), შემდეგ მოდის სქესის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები (12.5%), სექსუალური ორიენტაცია (11%), განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაცია (11%), პოლიტიკური შეხედულებით (9.5%) და სექსუალური შევიწროება (7.5%). რაც შეეხება პრობლემურ სფეროს, განცხადებების ყველაზე დიდი ნაწილი შრომით ურთიერთობებში განხორციელებულ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს უკავშირდება⁶³.

თანასწორობის უფლების დაცვის მხრივ, ყველაზე მოწყვლად ჯგუფებად კვლავ რჩებიან LGBTQ+ თემის წარმომადგენლები, ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები.

• ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია

უკანასკნელ წლებში საქართველოში რასობრივი დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის შემთხვევები უცხო ქვეყნების (განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის კონტინენტების) წარმომადგენლებისა და მიგრანტების მიმართ

⁶³ იხ. საქ. სახალხო დამცველის აპარატის წერილი N 24/12306 ადამიანის უფლებათა ცენტრს 13/11/2019

განსაკუთრებით გაიზარდა. ამას ხელს უწყობს ულტრანაციონალისტური ჯგუფების გაძლიერება და პოლიტიკურ დღის წესრიგში ირაციონალური საფრთხეების გაჩენის გზით, პოპულარობის გაზრდის მცდელობები.

აღსანიშნავია, რომ ულტრანაციონალისტური ჯგუფების ხილვადობის გაზრდის ტენდენცია, გასული წლების მსგავსად, 2019 წელსაც შენარჩუნდა. გარდა ფიზიკური სივრცეებისა, მსგავსი ჯგუფების ხილვადობა განსაკუთრებით მზარდია სოციალურ ქსელებშიც. საზოგადოებაში უცხოელებისა და მიგრანტების მიმართ უარყოფითი, ქსენოფობიური განწყობების გაღვივებას ხელს უწყობს ცალკეულ პოლიტიკოსთა პოპულისტური და დისკრიმინაციული განცხადებებიც.

განსაკუთრებით შემამფოთებელია სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკა ცალკეული ქვეყნის მოქალაქეებისადმი, სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, ბინადრობისა თუ სხვა სახის ნებართვების გაცემისას. ამ მხრივ განსაკუთრებულ პრობლემას აწყდებიან აფრიკისა და აზიის ქვეყნების მოქალაქეები. როგორც წესი, ასეთ დროს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უარი მეტწილად დაუსაბუთებელია და არ აკმაყოფილებს აქტის დასაბუთებულობის სავალდებულობის მოთხოვნას. ბინადრობის მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო ეყრდნობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე. პრაქტიკაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეების შემთხვევაში, უმეტესად ნებართვის მინიჭების მიზანშეწონილობაზე მიუთითებს, რასაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზეზებით ასაბუთებს. აქტის დასაბუთებულობის სტანდარტის დაუცველობა და ბინადრობის მაძიებლის კერძო ინტერესის (მაგ. ოჯახის გაერთიანება, მუშაობა და აშ.) უგულვებელყოფა საქმის შესწავლისას, ზრდის დისკრიმინაციული მიდგომის რისკებს. რეალურად, სუს-ის უარყოფით დასკვნას სააგენტო იყენებს არასასურველი ქვეყნის მოქალაქეებზე ბინადრობის ნებართვაზე დაუსაბუთებლად უარის თქმისთვის⁶⁴.

უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებმაც უნდა დაადასტუროს, რომ ნებართვის მაძიებელი საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის საფრთხის შემცველია, სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონეა. ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში საქმის წარმოების არცერთ ეტაპზე, ბინადრობის ნებართვის მაძიებელს არ აქვს საშუალება, გაეცნოს მის წინააღმდეგ არსებულ სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსის მქონე მტკიცებულებებს და წარადგინოს არგუმენტირებული საპასუხო პოზიცია.

მეტეც, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომებაში არსებულ არაერთ საქმეში აფრიკისა და აზიის მოქალაქეების საქართველოში არაერთწლიანი ლეგალურად ცხოვრების შემდეგ, მაშინ როდესაც ისინი ახლოს არიან კანონმდებლობით მუდმივი ბინადრობისთვის დაწესებული დროის ცენზის დაკმაყოფილებასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ახალი დასკვნით, ისინი საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისთვის საფრთხის შემცველები ხდებიან. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე დისკრიმინაციული პოლიტიკის არსებობის, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ.

⁶⁴ იხ. TDI - რასობრივი დისკრიმინაცია საქართველოში: <https://bit.ly/2QpG210>

ასევე გადაუჭრელ პრობლემად რჩება სასამართლოში დისკრიმინაციის, მისი შედეგების აღმოფხვრის და მორალური ზიანის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნების შესწავლა და გამოკვლევა. სასამართლო, ძირითად შემთხვევებში, ასევე ეყრდნობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას. დისკრიმინაციის დაუდგენლობა კი ძირითადად დასაბუთებულობის ძალიან დაბალი ხარისხით გამოირჩევა.

- **იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები**

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილებისთვის კვლავაც ყველაზე დიდ პრობლემად რჩება სიღატაკე, ნორმალური საცხოვრებელი ადგილის არქონა, უმუშევრობის მაღალი დონე, ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და სოციალური გათიშულობა. სახელმწიფოში კვლავ არ არსებობს თანმიმდევრული პოლიტიკა ე.წ. ნგრევალი ობიექტებიდან დევნილთა განსახლებასთან დაკავშირებით. კვლავაც ჭიანურდება თბილისში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხიც.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებაში, 2018 წელს შესული ცვლილებების შედეგად, განსახლების თაობაზე განაცხადების შეფასებისას, დევნილ ოჯახებს მძიმე საცხოვრებელ პირობებში გათვალისწინებული ქულა წინასწარ აღარ ენიჭებათ, რაც კიდევ უფრო ნეგატიურად აისახა სოციალურად შეჭირვებული დევნილების უფლებრივ მდგომარეობაზე.

დევნილობაში ყოფნის მრავალი წლის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ ადაპტაციასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები, ხშირად ეთნიკურად შერეული ოჯახები საცხოვრებლად კვლავაც რჩებიან დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე. 2019 წელს ხშირი იყო კონფლიქტისპირა სოფლებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის უკანონო გატაცების ფაქტები, რასაც თან ახლდა ძალის გამოყენება. მიუხედავად ოკუპაციიდან გამომდინარე შექმნილი დღის წესრიგისა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გააძლიეროს რეაგირება გატაცებულ მოქალაქეთა უფლებების დასაცავად და ასევე მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით.

- **შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შეზღუდვა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში საგრძნობია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 2013 წელს მოახდინა გაეროს კონვენციის (UNCRPD)⁶⁵ რატიფიცირება, ამ ჯგუფის თანასწორუფლებიანობა სრულფასოვნად არც ფორმალურ დონეზეა გარანტირებული. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო, ინსტიტუციური თუ პრაქტიკული საკითხები კიდევ გადაუჭრელია.

⁶⁵ე.ბ. გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენცია: <https://bit.ly/2PWY7Ko>

უარი გონივრულ მისადაგებაზე, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, ჯერაც არ გამხდარა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი. ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა არ ითვალისწინებს სათანადო საცხოვრებლის უფლებრივ სტანდარტს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის - არც შშმ პირებთან მიმართებით.

ისეთმა სპეციალიზებულმა სერვისებმა, როგორცაა - ფსიქიატრიული დაწესებულებები და პანსიონატები შშმ პირებისათვის მათი მუდმივი საცხოვრისის ფუნქცია შეიძინა.

სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მიუხედავად, რეალურად ინსტიტუციონალიზაცია და შშმ პირთა საცხოვრებლისა და სხვა ფუნდამენტური უფლებების დარღვევის პრაქტიკა ქვეყანაში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება, რაც გამომწვეულია სათემო სერვისების განვითარების დაბალი მაჩვენებლით და სახელმწიფოს მიერ სათანადო მხარდაჭერითი მომსახურებების შეუსრულებლობით ან შეზღუდულად შესრულებით.

უთანასწორო პირობებში რჩებიან საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირები, რომლებიც იშვიათი შემთხვევების გარდა, სოციალური პაკეტით ვერ სარგებლობენ.

• LGBTQ+ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა

LGBTQ+ ადამიანები, გასული წლების მსგავსად, კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფად რჩება ქვეყანაში. 2019 წელი გამოირჩეოდა ულტრაკონსერვატული ძალადობრივი ჯგუფების განსაკუთრებული აქტიურობით. მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის ძალადობა, ძალადობისკენ მოწოდება და ამ თემის წევრთა უფლებების რეალიზების ხელშეშლა. ანტიდემოკრატიული ჯგუფების მიერ ამ საკითხის პოლიტიზება განსაკუთრებით ართულებს LGBTQ+ პირთა უფლებების რეალიზებისა და დაცვის საკითხს⁶⁶.

სახელმწიფოში კვლავ არ არსებობს პოლიტიკური ნება, დაუპირისპირდეს არსებულ ძალადობრივ პრაქტიკას. ხელისუფლება თავს არიდებს საკუთარი პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას. მეტიც, შესაძლო სამართალდარღვევებზე ხელისუფლების რეაგირების დეფიციტი არსებულ ძალადობრივ გარემოს კიდევ უფრო აძლიერებს. სახელმწიფოში არ არსებობს ერთიანი პრევენციული და სამართლებრივი მიდგომები, პრობლემურია ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან თანასწორობისა და ადამიანის უფლებების განუხრელ პატივისცემაზე დაფუძნებული მოწოდებების გაკეთებაც. ძალადობრივი ჯგუფების ქმედებებისადმი ხელისუფლების დეფიციტური რეაგირება, ხშირად თანმხვედრი რიტორიკა და მათი პოლიტიკური აქტივიზმი ამყარებს ეჭვებს, რომ მმართველი ძალა ამ ჯგუფებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს⁶⁷.

უკვე დასწავლილ პრაქტიკად იქცა სახელმწიფოს მიერ LGBTQ+ ადამიანებისთვის შეკრების თავისუფლების დაცვის უგულვებელყოფა. 2012 და 2013 წლებში 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიასთან ბრძოლის

⁶⁶ იხ. საერთაშორისო საზოგადოების განცხადება საქართველოში ლგბტ+ პირების მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრის შესახებ: <https://bit.ly/2Sv0Asj>

⁶⁷ იხ. ინფორმაცია გრცლად: <https://bit.ly/2soKHsR>

საერთაშორისო დღეს განხორციელებული ძალადობის რეაგირების გარეშე დატოვებით, ხელისუფლებამ შექმნა დაუსჯელობის განცდა, რამაც, ცხადია, აღნიშნული ჯგუფების კიდევ უფრო გაძლიერებას შეუწყო ხელი. ხელისუფლებამ 2019 წელსაც თავი აარიდა საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესრულებას - უზრუნველყო შეკრების თავისუფლება და დაეცვა ამ უფლების სუბიექტები მესამე პირებისგან მომავალი ნებისმიერი საფრთხისგან. შესაბამისად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარანტიების ვერმიცემის პირობებში, შეუძლებელი გახდა ორგანიზაცია „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებული „ღირსების მარშის“ დაგეგმილი მასშტაბებით ჩატარება, რომელიც 8 ივნისს შსს-სთან მცირე მასშტაბებით მაინც განხორციელდა⁶⁸.

რეაგირების გარეშე დარჩა 2019 წლის 14 ივნისს LGBTQ+ თემის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერების მიერ მთავრობის კანცელარიის წინ გამართულ აქციაზე კონტრდემონსტრანტების მიერ განხორციელებული ძალადობრივი აქტები. სახელმწიფო კვლავ რეაგირების გარეშე ტოვებს ანტიდემოკრატიული ჯგუფების ლიდერთა მიერ შუღლის გაღვივებისკენ მიმართულ ძალადობრივ აქტებს. აღნიშნული ნათლად გამოჩნდა 2019 წლის ნოემბერში ფილმის - „და ჩვენ ვიცეკვით“ ჩვენებასთან დაკავშირებით.

რადიკალური ჯგუფების ლიდერების აშკარად ძალადობრივი მოწოდებები რეაგირების გარეშე დარჩა. მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, ხელისუფლება თავს არიდებს სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას ძალადობისკენ მოწოდების მსგავს ფაქტებზე, რასაც პრევენციული ეფექტი უნდა ჰქონდეს. სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობის ნეგატიური შედეგის მაიდენტიფიცირებელია ამავე აქციაზე განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები⁶⁹.

მიუხედავად ბოლო წლებში ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, რაც დაკავშირებულია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებასთან, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებასთან და სხვა სამართლებრივ თუ ინსტიტუციონალურ ცვლილებებთან, პრაქტიკაში LGBTQ+ ადამიანებისთვის თავიანთი უფლებების რეალიზება კვლავ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი ერთნაირსქესიანი წყვილები და ტრანსგენდერი ადამიანები ვერ სარგებლობენ კონვენციით გათვალისწინებული მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმებით. კვლავ პრობლემად რჩება გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი, რაც განსაკუთრებით ართულებს ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების დაცვას. ამასთან, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მისი დღის წესრიგიდან სრულად გამოორიცხა ჰომოფობიის და LBT+ ქალების უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობა.

ხელისუფლება კვლავ ვერ იაზრებს ჰომოფობიის მძიმე სოციო-პოლიტიკურ შედეგებს და არ ქმნის მისი დაძლევისთვის საჭირო სისტემურ მექანიზმებს. არსებული პრობლემების მკვეთრი პოლიტიზირებით კი, განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის ამ თემის წევრ ადამიანებს.

⁶⁸ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2PW355t>

⁶⁹ ob.Reg Info-ს სტატია: <https://bit.ly/34RzH4A>

- **რელიგიური უმცირესობები**

მიუხედავად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა, რელიგიის თავისუფლების კუთხით, კვლავ გამოწვევად რჩება სისტემური დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის საკითხები. გასული წლების მსგავსად, 2019 წელსაც პრობლემად რჩება რელიგიური უმცირესობებისათვის ისტორიული საკუთრების დაბრუნების, განათლების სფეროში არსებული დარღვევებისა და უთანასწორო გარემოს, რელიგიური გაერთიანებების მშენებლობებთან დაკავშირებული ბარიერებისა და რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი და დროული რეაგირების პრობლემა.

პოლიტიკურ სივრცეში, მედიასა და სოციალური ქსელებში კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება შეუწყნარებლობის გამოვლინებასა და სიძულვილის შემცველი რიტორიკა. სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის საქმეებში უხეში ჩარევის ეჭვები გაძლიერდა ბოლბელი ეპისკოპოსის, მეუფე იაკობის ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში სკანდალური განცხადების⁷⁰ შემდეგ. იგი ირწმუნებოდა, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები მას პატრიარქის გადაყენებას სთავაზობდნენ.

25 დეკემბერს ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა სამუფთო სამმართველოში - სრულიად საქართველოს მუფთის პოზიციაზე, ხმათა უმრავლესობით, ადამ შანთაძის არჩევას. სამუფთოს თანამშრომლებმა რეზო მიქელაძემ და თემურ გორგაძემ განაცხადეს, რომ ადამ შანთაძე აირჩია სუს-მა და არა მეტლისმა. მათივე სკანდალური განცხადებით, საბჭოს 19 წევრს არჩევნების წინა დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან დაურეკეს და აიძულეს ამ გადაწყვეტილების მიღება. მათ პროტესტის ნიშნად თანამდებობები დატოვეს⁷¹.

პენიტენციური სისტემა

ბოლო წლების განმავლობაში, პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად, კვლავ რჩება პრობლემები და გამოწვევები, რომლებზე რეაგირებაც აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვისთვის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში.

2019 წელს, იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და 2019-2020

⁷⁰ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2sn7PrN>

⁷¹ იხ. „13 ხმით სრულიად საქართველოს მუფთი ადამ შანთაძე გახდა“: <https://ajaratv.ge/article/53380>

წლების სამოქმედო გეგმა⁷², რაც ცალსახად მისასაღმებელია, მაგრამ პრაქტიკაში პრობლემების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია მუშაობის გაძლიერება ერთიანი კონცეფციით.

პენიტენციურ სისტემაში ისევ გამონწვევად რჩება არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების ნაკლებობა. ამ მხრივ, განსაკუთრებული პრობლემა დიდი ზომის დაწესებულებებში გვხვდება. პრობლემურია პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების ერთიანი სისტემის არარსებობა და დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა გადასვლის მოტივაციის ხელოვნურად შემცირების პრაქტიკა⁷³.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ასევე ფორმალურია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა, რადგან არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელია მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა.

კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის ოთახებში მინის ბარიერის არსებობა, ოჯახის ვიზიტის დროს კონფიდენციალური გარემოს არარსებობა. პრობლემას წარმოადგენს პაემნებისას ჰეტეროსექსუალი მსჯავრდებულებისგან განსხვავებული, დისკრიმინაციული მოპყრობა LGBTQ+ პატიმრებისადმი.

გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2019 წლის ივლისისა და აგვისტოს თვეში ოთხ ციხეში ვიზიტისას დარღვევები აღმოაჩინა. კერძოდ, ნიშანდობლივია პატიმართა შორის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა და კრიმინალური სუბკულტურის მზარდი გავლენა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ კრიმინალური სუბკულტურა განსაკუთრებით შეიმჩნევა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში, სადაც არაფორმალური მმართველები პრივილეგირებულნი არიან. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ პატიმრები სათანადოდ არ იცნობენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს და კრიმინალური სუბკულტურის გავლენითა და რეპრესიის შიშით უარს ამბობენ საჩივრის უფლების გამოყენებაზეც. ამასთანავე, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებები გადატვირთულია და შეიმჩნევა პერსონალის ნაკლებობა, რის გამოც ადმინისტრაციას აქვს ცდუნება, „წესრიგის შენარჩუნების“ და კონფლიქტების მოგვარების ფუნქცია არაფორმალურ მმართველებს გადააბაროს⁷⁴.

⁷² იხ. პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის N385 ბრძანება: https://www.matsne.gov.ge/ka/doc/the_ument/view/4490017?publication=0

⁷³ იხ. „პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში“, HRC, 2019 <https://bit.ly/2ZqK1zj>

⁷⁴ იხ: სახალხო დამცველის N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში.

შენწყალება

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საზოგადოების ყურადღება არაერთხელ მიიპყრო სხვადასხვა დროს სახელმწიფოს მეთაურთა მიერ თავიანთი კონსტიტუციური უფლებამოსილების - შეწყალების ექსკლუზიური უფლების გამოყენებამ. მსგავსი გადაწყვეტილებები უკანასკნელ ათწლეულებში არაერთხელ გამხდარა საზოგადოების აღშფოთებისა და სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის საგანი⁷⁵. 2019 წელს საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ განსაკუთრებით ძვირადანაშაულებისთვის მსჯავრდებულების შეწყალებამ. ამ გადაწყვეტილების განჭვრეტადობის დაბალმა ხარისხმა და საზოგადოების სენსიტიურობამ ამ თემისადმი კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლების თვითნებური გამოყენების პრობლემა⁷⁶.

კრიზისიდან ადეკვატური გამოსავლის პოვნის ნაცვლად, პრეზიდენტმა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე მორატორიუმი გამოაცხადა, რაც კრიტიკულად შეაფასა სამოქალაქო საზოგადოებამ და მსჯავრდებულთა მხრიდანაც მოჰყვა პროტესტი.

მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტის აპარატმა პატიმართა შეწყალების ახალი წესი შეიმუშავა. ახალ წესში აღარსად მოიხსენიება შეწყალების კომისია - შეწყალების საქმეებს განსახილველად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამსახური მოამზადებს. ახალი წესის ამოქმედებისას, პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა სამოქალაქო საზოგადოებისა და ექსპერტების აზრი შეწყალების კომისიის მნიშვნელოვან როლთან დაკავშირებით. შეწყალების უფლებამოსილების განხორციელების ახალი მოდელი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტად გაზრდის ამ პროცესთან დაკავშირებულ რისკებს და ამავე დროს, ვერ უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალებას.

შრომის პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა 2019 წელსაც მნიშვნელოვან გამომწვევად რჩება, ისევე როგორც სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დანესებულებებში დასაქმებულ პირთა შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებით უზრუნველყოფა.

2019 წლის თებერვალში პარლამენტმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი დაამტკიცა და შრომის უსაფრთხოების კანონში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვნად გამოსწორდა. ცვლილებების თანახმად, შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველი ორგანო უფლებამოსილი გახდა, წინასწარი შეტყობინებისა და სასამართლო ნებართვის გარეშე, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, შეამოწმოს ინსპექციისადმი დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო

⁷⁵ იხ. "შეწყალების უფლებამოსილება - ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება" HRC, 2016: http://coalition.ge/files/shetskalebis_uflbamოსileba_24022016.pdf

⁷⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალებაზე მორატორიუმის გამოცხადებასთან დაკავშირებით: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19959&lang=geo>

სივრცე (2019 წლის 1 სექტემბრიდან). კანონში ასევე დადგინდა ეფექტური და დიფერენცირებული სანქციები, რომელთა მოცულობა მერყეობს 100 ლარიდან 50 000 ლარამდე, დარღვევის ხარისხისა და შემონმბეული კომპანიის მოცულობის შესაბამისად. მდგომარეობის კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში ინსპექტორს ეძლევა სამუშაო პროცესის შეჩერების უფლება, რაც შემდგომში სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა დადასტურდეს.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 1 სექტემბრიდან ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ ყველა ორგანიზაციაზე, მათ შორის - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მონწერივებულ შრომით ურთიერთობებზე. საქართველოს ორგანული კანონის მე-2 და მე-7 მუხლების საფუძველზე, 2019 წლის 1 სექტემბრიდან ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში ფუნქციონირებად კომპანიებს დაეკისრათ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ყოლის ვალდებულება⁷⁷.

ამის მიუხედავად, 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო ცვლილებებსა და მონიტორინგის სისტემების გააქტიურებას სანარმოო შემთხვევებით გარდაცვლილთა და დაზარალებულთა სტატისტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

2019 წლის იანვარ-ივლისში სამუშაოს შესრულებისას 22 ადამიანი დაიღუპა და 51 ადამიანი დაშავდა. 2015-2018 წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ სამუშაო ადგილზე დაშავებულთა და დაღუპულთა მაჩვენებელი მზარდია. უბედური შემთხვევების რაოდენობა განსაკუთრებით ხშირია სამშენებლო სექტორში. 2019 წლის 7 თვის მონაცემებით, სამუშაო ადგილზე დაღუპვის შემთხვევების 50% სამშენებლო სექტორზე მოდის⁷⁸.

დღესდღეობით შრომის ინსპექცია არ არის პროაქტიური. აუცილებელია, მოხდეს მისი ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის გაზრდა და გაძლიერება, ასევე - რეგიონალური წარმომადგენლობების შექმნა და საკმარისი, კვალიფიციური ინსპექტორებით დაკომპლექტება. 2019 წელსაც პრობლემად რჩება უბედური შემთხვევების დროს გაჭიანურებული და არაეფექტური გამოძიების წარმოება. აუცილებელია უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წესებისა და პოლიტიკის განჭვრეტადობა, ისევე როგორც გამოძიების გამართულობა. აუცილებელია შრომის ინსპექციის მანდატის გაზრდა, რათა მისი რეგულირების სფერო ასევე გავრცელდეს მომსახურების სექტორში დასაქმებულ ადამიანებზეც, რომლებიც არსებული დერეგულირების პირობებში, სისტემური ექსპლუატაციის მსხვერპლები არიან.

სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს პარლამენტში შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის სამუშაო ტექსტის⁷⁹ ოთხი სამუშაო შეხვედრის შემდეგ, გაურკვეველი ვადით გადაიდო კანონპროექტების პაკეტის ინიცირება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სამუშაო დროის დარეგულირებას, დისკრიმინაციის თუ დეკრეტული შვებულების წესების დახვეწას, შრომის ინსპექციის მანდატის გაზრდასა და მის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას. აუცილებელია ამ პროცესის

⁷⁷იხ. საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4103880?publication=4>

⁷⁸ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/34Ylulp>

⁷⁹ იხ. ახალი ამბები - საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://bit.ly/2ZuXmGP>

უმოკლეს ვადაში გაგრძელება, რამაც დასაქმებულთათვის ცივილური შრომის გარანტიების შექმნას უნდა შეუწყოს ხელი.

ბალალი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობის საქმეები

- ლუკა სირაძის საქმე

15 წლის ლუკა სირაძე 2019 წლის 11 დეკემბერს საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან გადმოხტა და მრავლობითი დაზიანებები მიიღო. იგი ამავე წლის 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, თვითმკვლელობის მცდელობას წინ უსწრებდა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის პირველ განყოფილებაში, 2019 წლის 10 და 11 დეკემბერს არასრულწლოვნის გამოკითხვა, „მწვანე სკოლაში“ კვლევებზე წარწერების გაკეთების ფაქტზე, რა დროსაც იგი პოლიციელთა მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა.

2019 წლის 12 დეკემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ადვოკატმა, რომელიც მიუთითებდა პოლიციის განყოფილებაში არასრულწლოვნის მიმართ იძულების ფაქტზე.

2019 წლის 17 დეკემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დააკავა დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის პირველი განყოფილების გამომძიებელი მარიანა ჩოლოიანი, რომელსაც ბრალად ედება ჩვენების მიცემის იძულება. აღსანიშნავია, რომ მარიანა ჩოლოიანი 2011 წლის 26 მაისს ყინწვისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაკავებულთა საქმის გამომძიებელია და ამ საქმის გამომძიების პროცესში მან სავარაუდოდ ასევე ჩაიდინა სისტემური გადაცდომები და დანაშაულები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2019 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით, ე. წ. ყინწვისის საქმეზე ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა (წამების აკრძალვა) დაადგინა. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქართულ მართლმსაჯულებაში არსებულ სისტემურ პრობლემებზე, რაც განსაკუთრებულად მწვავე ფორმით ვლინდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

- თამთა თოღაძის საქმე

დაზარალებული თამთა თოღაძის განცხადებით, თბილისის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრი ილია ჯიშკარიანი მას გაუპატიურების მიზნით თავს დაესხა. დაზარალებული აღნიშნული მაჟორიტარის ბიუროს თანამშრომელი იყო. მისი თქმით, ჯიშკარიანმა მასზე ძალადობა 30 სექტემბერს სცადა, მაგრამ მან მოძალადისგან თავის დაღწევა და კაბინეტიდან გაქცევა მოახერხა. თუმცა, ცემის დროს ფიზიკური დაზიანებები მიიღო. მსხვერპლს ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა და 2019 წლის 8 ოქტომბერს, დაგვიანებით მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი მას შემდეგ, რაც საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი წარმოიშვა. საქმის გამომძიებისას გაჩნდა ეჭვი, რომ სავარაუდოდ მოძალადე პირის დასასჯელად (საკრებულოს მაჟორიტარი წევრი), პროკურატურა საქმის

კონტექსტის გათვალისწინებით, ჯეროვნად და ეფექტიანად არ იძიებდა/იძიებს საქმეს. აღნიშნული ფაქტის გახმაურების შემდეგ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი წევრი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, ოფიციალური ინფორმაციით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

საბოლოოდ, ისნის რაიონის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ილია ჯიშკარიანს, 2019 წლის 30 სექტემბერს, მისი წარმომადგენლობითი ბიუროს სპეციალისტის, თამთა თოღაძის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და ცემის ფაქტზე, წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტითა (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, სამსახურობრივი მდგომარეობის გამოყენებით) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

• ანა სუბელიანის საქმე

ლევან აკინის ფილმის - „და ჩვენ ვიცეკვეთ“ პრემიერის წინააღმდეგ კინოთეატრ „ამირანთან“ მიმდინარე ჰომოფობიურ აქციაზე სამოქალაქო აქტივისტი ანა სუბელიანი, აქციის ერთ-ერთი მონაწილის თავდასხმის ობიექტი დისკრიმინაციული ნიშნით გახდა. ფილმის სანახავად მისულ ანა სუბელიანს თავის არეში ბლავგი საგანი ესროლეს, რის გამოც მისი ჰოსპიტალიზაცია და სამედიცინო ჩარევა გახდა საჭირო. ბრალდებული პოლიციამ ადგილზე დააკავა. თავიდან ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის I ნაწილით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. ადამიანის უფლებათა ცენტრი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, თავიდანვე მოითხოვდა ქმედების სამართლებრივად სწორ შემოწმებას და შესაბამისად თავდაპირველი ბრალდების გადაკვალიფიცირებას. მისასალმებელია, რომ პროკურატურამ გაითვალისწინა საქმის რეალური ფაქტობრივი გარემოებები და ანა სუბელიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე დაპატიმრებულ პირს ბრალი დაუმძიმა. სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე პრიმა მუხლი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივს. ანა სუბელიანისთვის ჯანმრთელობის დაზიანების მუხლით (სსკ 120.1 მუხლი) დაკავებული პირისთვის სასამართლოს აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდებული აქვს პატიმრობა.⁸⁰

• ხორავას ქუჩაზე მოკლული არასრულწლოვნების საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი ამ დრომდე აგრძელებს მუშაობას 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე ორი არასრულწლოვნის სასტიკი მკვლელობის საქმეზე. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 3 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 31 მაისს გამოტანილი განაჩენი და მსჯავრდებული გ.ჭ. დამნაშავედ ცნო

⁸⁰ იხ. ადამიანის უფლებათა სახლის განცხადება - 8 ნოემბერს უფლებადამცველების – ანა სუბელიანის და თამაზ სომაშვილის მიმართ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

<https://bit.ly/2QQYCa4>

დავით სარალიძის ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში. მას 11 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მომდევნო დღეს, 2019 წლის 4 ივნისს კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა მიხეილ კალანდია. მას ბრალად ედება დავით სარალიძის ჯგუფურად, დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობა. აღნიშნულ საქმის არსებითი საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის ცნობილი. ხორავას ქუჩის ტრაგედიაში როგორც საზოგადოებას, ასევე შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუციებს დაანახა, რომ პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი. აღნიშნული საქმის არასათანადო გამოძიებამ მნიშვნელოვნად დააზიანა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი.

• თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

2017 წლის 26 დეკემბერს სოფელ დუისში მაჩალიკაშვილების ოჯახში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, მასშტაბური სპეცოპერაციის ჩატარებიდან 2 წლის თავზე, თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე, გამოძიებას ამ დრომდე არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

გამოძიების პროცესში კვლავ არ არის გამოკვეთილი სუს-ის იმ თანამდებობის პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც არსებითი შეცდომები დაუშვეს სპეცოპერაციის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში. არც ერთი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და თემირლან მაჩალიკაშვილის მშობლებს არ აქვთ მინიჭებული დამარალეულის უფლებამონაცვლის სტატუსი. ამასთან, გამოძიება არ დაწყებულა მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე და სუს-ის მიერ მტკიცებულებების ფალსიფიცირებისა და განადგურების საკითხზე. მეტიც, მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრები, ამ ხნის განმავლობაში, სახელმწიფოს მხრიდან, დეჰუმანიზაციისა და დევნის მსხვერპლნი არაერთხელ გახდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ უფლებადამცველი ორგანიზაციის - EMC-ის დახმარებით, თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეს უკვე განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სადაც დავა სახელმწიფოს მხრიდან ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 (უფლება ეფექტიან სამართლებრივ საშუალებებზე) მუხლების დარღვევაზე მიმდინარეობს.

• ვიტალი საფაროვის საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს 2018 წლის 30 სექტემბერს სასტიკად მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის უფლებამონაცვლის ინტერესების დაცვას, ამჯერად - სასამართლოში. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2019 წლის 8 აპრილს წერილით მიმართა ქალაქ თბილისის პროკურატურას და მოითხოვა საქმეზე ობიექტური და ყოველმხრივი გამოძიება და მისი კიდევ ერთხელ გადაკვალიფიცირება ჯგუფურ დანაშაულად, რამდენადაც საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულება და მათ შორის თვითმხილველთა ჩვენებები ცალსახად ადასტურებდა ორივე ბრალდებულის აქტიურ

თანამონაწილეობას ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში. საბოლოოდ, 2019 წლის 17 აპრილს თბილისის პროკურატურისაგან ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიიღო პასუხი, რომ მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ავთანდილ კანდელაკიშვილსა და გიორგი სოხაძეს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში - ჭგუფურად, ეროვნული შეუწყნარებლობის გამო.

2019 წლის 16 აპრილს, დილით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში დატოვა და არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რომელიც ითხოვდა, კანდელაკიშვილს პატიმრობის ნაცვლად შეფარდებოდა გირაო, 10.000 ლარის ოდენობით, ხოლო გიორგი სოხაძე გათავისუფლებულიყო.

საქმის არსებითად განხილვის დასრულების შემდეგ, 2019 წლის 10 ივნისს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები გიორგი სოხაძე და ავთანდილ კანდელაკიშვილი ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას ჭგუფურად. რაც შეეხება სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს (რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა), სასამართლომ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება ამორიცხა ორივე ბრალდებულთან მიმართებაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი განაგრძობს ვიტალი საფაროვის ოჯახის ინტერესების დაცვას სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაში და იმედოვნებს, რომ აღნიშნული საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, კოლეგია გაითვალისწინებს ყველა გარემოებას და სწორ, კვალიფიკაციურ შეფასებას მისცემს ჩადენილ დანაშაულს. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც ამ საქმეზე სამართლიანობის მისაღწევად, ასევე - სიძულვილით მოტივირებული მსგავსი დანაშაულების პრევენციისთვის და სასამართლოს სწორი პრაქტიკის განვითარებისთვის.⁸¹

• თათია ლორთქიფანიძის საქმე

2019 წლის 9 აპრილს ძალოსანმა თათია ლორთქიფანიძემ ძალოსან ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ჯანჭღავა სექსუალურ შევიწროებაში, ხოლო ძალოსანობის ეროვნული ფედერაცია დისკრიმინაციაში დაადანაშაულა და სასამართლოში უჩივლა. მის ინტერესებს კავშირი „საფარი“ იცავს. საქმეში 2 მოპასუხე მხარეა: მთავარი მწვრთნელი, რომელსაც ლორთქიფანიძე სექსუალურ შევიწროებაში სდებს ბრალს და ძალოსანთა ფედერაცია, რომელმაც, ლორთქიფანიძის თქმით, დისკრიმინაციული ქმედება ჩაიდინა და ბათუმში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატიდან მოხსნა. ძალოსანი მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს ფედერაციისგან, რადგან ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების რეალური შანსი და შესაბამისი შემოსავლის მიღების საშუალება ჰქონდა. თათია ლორთქიფანიძის თქმით, 2019 წლის 5 აპრილს გახდა ცნობილი, რომ ბათუმში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე არ გამოვიდოდა. მისი

⁸¹ ადამიანის უფლებათა ცენტრი - „უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება“, 2019 <https://bit.ly/35wSD91>

თქმით, ეს ფაქტი ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პირად ანგარიშსწორებას უკავშირდება, კერძოდ, ეს თემურ ჯანჭღავას შურისძიებას წარმოადგენს, რადგან სპორტსმენმა ფედერაციაში არ დამალა სექსუალური შევიწროების ფაქტი და მწვრთნელს დაუპირისპირდა. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ჯერ არ მიუღია.

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტი

ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის პროექტი, რომელსაც მართებულად მიიჩნევენ საქართველოს გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტად, 2016 წელს დაიწყო. 2017 წლის დეკემბერში საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ანაკლიის განვითარების კონსორციუმი სამშენებლო სამუშაოებს შეუდგა. ევროკომისიისა და მსოფლიო ბანკის თანაავტორობით შექმნილი „ტრანსევროპული სატრანსპორტო კავშირის“ სამოქმედო გეგმაში ანაკლიის პორტი პრიორიტეტულ პროექტადაა აღიარებული. ამავ გეგმის თანახმად, ევროკავშირი პორტის მშენებლობის მეორე ფაზას 233 მილიონი ევროთი დააფინანსებს, რაც თავისთავად მეტყველებს პორტის სატრანსპორტო და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. დღეს კი, საქართველოს პირველი ღრმანყოფანი პორტის პროექტის განხორციელებას, რომელიც აზიასა და ევროპას შორის შესაძლო ალტერნატიული სავაჭრო მარშრუტის ამოქმედებას გულისხმობს, საფრთხე ემუქრება. მიუხედავად პორტის პროექტის თავდაპირველი პომპეზური გახსნისა, ამჟამად პროექტი დაპირისპირების საგნად არის ქცეული. პორტის „ბუნებრივი“ მონინაალმდეგე რუსეთია - მას არ სურს საქართველოში მორიგი საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტის განხორციელება, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურად გააძლიერებს და დასავლეთთან კიდევ უფრო დაახლოებს. რუსეთის სახით საგარეო ოპონენტის გარდა, პორტს ძლიერი შიდა მონინაალმდეგეებიც ჰყავს. კერძოდ, ფოთის პორტთან დაკავშირებით ბიზნესინტერესების მქონე პირებს საკუთარი ეკონომიკური სარგებლის დაკარგვა აფრთხობთ და ანაკლიის პროექტის ნებისმიერ ფასად შეჩერება სურთ. ისინი ცდილობენ ხელისუფლებას უტოპიური იდეის განხორციელებისაკენ უბიძგონ, რაც ფოთში ღრმანყოფანი ინფრასტრუქტურის განვითარებას გულისხმობს. თუმცა, ჯერ კიდევ 2014 წელს, საერთაშორისო გამოცდილების მქონე საინჟინრო-საკონსულტაციო იაპონურმა კონსორციუმმა - Oriental Consultants Company Limited, საპარტნიორო ფონდის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგად, შავიმღვისპირა აკვატორიაში პორტისთვის საუკეთესო ადგილად ანაკლია შეარჩია⁸².

2019 წლის აპრილში, ბიძინა ივანიშვილმა დაარღვია რამდენიმეთვიანი სიჩუმე, მათ შორის ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ყოველთვის სკეპტიკურად უყურებდა კერძო კომპანიის მიერ ასეთი კომპლექსური პროექტის განხორციელების შესაძლებლობას. გავრცელებული ინფორმაციით, პროექტის ირგვლივ არსებული დავის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილისა და კონსორციუმის დამფუძნებელ მამუკა ხაზარაძეს შორის პირად დაპირისპირებას უკავშირდება.

⁸² ინფორმაცია გრცლად: <https://bit.ly/2R8SfbR>

აღნიშნული მოვლენების შემდეგ, 2019 წლის 24 ივლისს, საქართველოს პროკურატურამ ოფიციალურად ბრალი წარუდგინა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლებს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზების 11 წლის წინანდელ სავარაუდო ფაქტზე. ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს განვითარებული მოვლენების ანაკლიის პორტთან კავშირს. იგი ამტკიცებს, რომ ანაკლიის პროექტის განხორციელებისთვის მთავარი პრობლემა კონსორციუმის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა და ინვესტიციის მოზიდვის უუნარობაა. მიუხედავად იმისა, რომ ანაკლიის განვითარების კონსორციუმს ფინანსური დახურვის ვადა მთავრობამ 2019 წლის დეკემბრამდე გადაუწია, ხელისუფლების მხრიდან კონსორციუმთან თანამშრომლობის სულ უფრო ნაკლები ენთუზიაზმი იკვეთება. ამის პარალელურად კი, მთავრობის მხრიდან უფრო ხშირად გვეხვებიან განცხადებები, რომ კონსორციუმის წარუმატებლობის შემთხვევაში სახელმწიფო განახორციელებს პროექტს. ამ ეტაპზე, პორტის სამშენებლო საქმიანობა შეჩერებულია.

ექსტრადიცია რუსეთის ფედერაციაში

19 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ დააკმაყოფილა რუსეთის ფედერაციის მოთხოვნა, რომლითაც იგი ითხოვდა ეთნიკურად ჩეჩენი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის - რამზან ახიადოვის ექსტრადიციას, რომელსაც ტერორისტულ დანაშაულში ედება ბრალი და იძებნებოდა კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლის) წითელი ცირკულარით. თავის მხრივ, ტერორიზმის დანაშაულში ბრალდებული რამზან ახიადოვი წარდგენილ ყველა ბრალდებას უარყოფდა და მის მიმართ არსებულ პოლიტიკურ დევნაზე ამახვილებდა ყურადღებას, ჩეჩნეთის პრეზიდენტის - რამზან კადიროვის ღია კრიტიკის გამო. შესაბამისად, დაკავებული და მისი უფლებადამცველი თავიდანვე უთითებდნენ ექსტრადირების შემთხვევაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მაღალი რისკის არსებობაზე.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს ხელისუფლება რუსეთში ახდენს დაკავებულ პირთა ექსტრადირებას. რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ იუსტიციის სამინისტროს მიცემული „გარანტია“ ვერ შეფასდება ობიექტური რისკების გამორიცხვისთვის საკმარისად იმ ფონზე, როდესაც არაერთი საერთაშორისო თუ რუსული უფლებადამცველი ორგანიზაცია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და სხვადასხვა მედიასაშუალება აქტიურად საუბრობს რუსეთში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ რთულ მდგომარეობაზე, პოლიტიკური მოტივით მკვლელობებზე, გაუჩინარებებზე, რუსულ საპატიმრო დაწესებულებებში არსებულ გაუსაძლის პირობებზე და ა.შ. ამასვე ცხადყოფს ევროსასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებებიც.

შესაბამისად, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული დათქმები.

2019 წლის 8 და 22 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, მოეწოდებინა საჯარო ინფორმაცია, განახორციელა თუ არა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მინისტრის მიერ დაპირებული მონიტორინგი, თუ რამდენად სრულდება რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული სამართლებრივი გარანტიები რამზან ახიალოვის მიმართ. მინისტრმა (სამინისტრომ) ორივე მიმართვაზე დაარღვია საჯარო ინფორმაციის მოწოდების ათლიანი ვადა. იუსტიციის სამინისტრომ ასევე უპასუხოდ დატოვა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიმართვა, მსგავსი შინაარსის საჯარო ინფორმაციის მიღებაზე. შესაბამისად, ორივე ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით 20 დეკემბერს მიმართა - მას შემდეგ, რაც სამინისტრომ რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ეთნიკურად ჩეჩენი პატიმრის, რამზან ახიალოვის თაობაზე გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია არ მიაწოდა⁸³.

ICC-ს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება

2019 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მიერ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული გამოძიების კუთხით მნიშვნელოვანი სიახლეს წარმოადგენდა 2019 წლის დეკემბერში, ჰააგაში, რომის სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეაზე პროკურორ ფატუ ბენსუდას განცხადება, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სიტუაციის გამოძიებას თან ახლავს არაერთი გამოწვევა, მათ შორის, ომის შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის გასვლა და რუსეთის უარი სასამართლოსთან თანამშრომლობაზე, გამოძიება აქტიურ ფაზაშია შესული და შესაძლოა, უახლოეს პერიოდში გარკვეულ შედეგებამდე მივიდეს⁸⁴.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან არსებულმა დაზარალებულთა ნდობის ფონდმა 2019 წელს მხარი დაუჭირა დაზარალებულ პირთა მდგომარეობის შეფასებას საქართველოში, რის საფუძველზეც 2020 წლის მაისში ფონდის საბჭო გადაწყვეტს საქართველოში ომის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით კონკრეტული მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების საჭიროების საკითხს.

საქართველოში საქმიანობას აგრძელებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ადგილობრივი ოფისი. ოფისის მიერ ხორციელდება სხვადასხვა ცნობიერების ამაღლებისა და საინფორმაციო აქტივობები, მათ შორის - დაზარალებულებთან და ფართო საზოგადოებასთან. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ოფისი უკეთ იყოს აღჭურვილი სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით, რათა ამ კუთხით იყოს უფრო აქტიური და ეფექტური. წლის განმავლობაში ოფისმა გამართა საინფორმაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს კოალიციის წევრი ორგანიზაციები⁸⁵.

⁸³ ინფორმაცია ვრცლად: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20019&lang=eng>

⁸⁴ ინფორმაცია ვრცლად: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20010&lang=geo>

⁸⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრი, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, საქართველოს

2019 წლის მაისში, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დელეგაცია, მათ შორის, რეგისტრის, საჯარო ინფორმაციისა და აუთორიტის სექციის, დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის სექციის, პროკურორის ოფისისა და დაზარალებულთა ნდობის ფონდის წარმომადგენლები. დელეგაციამ საინფორმაციო შეხვედრები გამართა დევნილთა ორ დასახლებაში - შავშვებსა და ფრეზეთში. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქართველოს კოალიციის სხვა წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგაციის წარმომადგენლებმა დაზარალებულებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე გამოძიების, ასევე, მათი უფლებების შესახებ და უპასუხეს შეკითხვებს. დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის სექციის წარმომადგენლებმა გამართეს ტრენინგი იურისტებისათვის დაზარალებულთა უფლებებთან და იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

2019 წლის 20-24 მაისს ჰააგაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ყოველწლიური სტრატეგიული მრგვალი მაგიდის შეხვედრები გაიმართა. საქართველოდან შეხვედრებს ესწრებოდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“, „საერთაშორისო სამართლიანობის“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) წარმომადგენლები. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოში მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და მოუწოდეს პროკურატურის ორგანოს წარმომადგენლებს, გამოძიების ფარგლებში ყურადღება გამახვილდეს ომის დროს ჩადენილ ყველაზე მასშტაბურ და მძიმე დანაშაულებზე, მათ შორის - ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაზე. ამავედროულად არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მასშტაბურობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სასამართლოს პროკურორის ოფისმა ყველაზე მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დადგენა შეძლოს. შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ასევე საქართველოში გამოძიების წარმატების მნიშვნელობაზე აფრიკის გარეთ რეგიონებისთვის, ვინაიდან საქართველოს სიტუაცია სასამართლოსთვის პირველი არააფრიკული გამოძიებაა, რომელსაც ზეგავლენა ექნება სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში სამომავლო მხარდაჭერის, ნდობისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით⁸⁶.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო მართლმსაჯულება და წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT)

⁸⁶ ინფორმაცია ვრცელად: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19877&lang=geo>

საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ

ადამიანის უფლებათა ცენტრი, ტრადიციულად, ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების შეფასებებზე, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტებია სხვადასხვა მიმართულებით.

2019 წლის 23 მაისს, თბილისში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ყოველწლიური დიალოგის მე-12 რაუნდი გაიმართა. ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ასევე, გამოთქვა შეშფოთება საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთში – ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით, რაც არსებითად ეთნიკურ ქართველებს ეხება, განსაკუთრებით ეთნიკური დისკრიმინაციის, თავისუფალი გადაადგილების, საკუთრების უფლების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ასევე, იმ მუდმივ დაბრკოლებებთან დაკავშირებით, რაც ექმნებათ იძულებით გადაადგილებულ პირებს თავიანთ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლების განხორციელების პროცესში.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ევროკავშირმა ყურადღება გაამახვილა ეუთოს და მისი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ანგარიშზე, რომელიც 2018 წლის ოქტომბერ–ნოემბერში საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს ეხებოდა და ხაზი გაუსვა გამოვლენილი ხარვეზების დროულად გამოსწორების მნიშვნელობას, როგორც იყო: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების და ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევები, ნეგატიური კამპანიის წარმართვა და მკაცრი რიტორიკა, ისევე როგორც მედიის მკვეთრი პოლარიზაცია. ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, უზრუნველყოს ქალებისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მეტი მონაწილეობა პოლიტიკაში⁸⁷.

ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, რომ გაგრძელდეს ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტიანად განხორციელება და დადებითად შეაფასა საჯარო მოხელეთა და აღმასრულებელი სამსახურების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ამ სფეროში სრულყოფილი ტრენინგების შედეგად⁸⁸.

ევროკავშირი მიესალმა შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონში ცვლილებების მიღებას, რის შედეგადაც ეს კანონი ეკონომიკის ყველა სექტორზე ვრცელდება და მოუწოდა მეტი ძალისხმევისკენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ შრომის ინსპექცია სრულფასოვანი გახდეს⁸⁹.

ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, გააძლიეროს სოციალური დიალოგი ქვეყნის შიგნით და განაგრძოს მჭიდრო თანამშრომლობა შრომის

⁸⁷ ინფორმაცია, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მეთორმეტე ყოველწლიური დიალოგის შესახებ: <https://bit.ly/2sYtM0g>

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ იქვე.

საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ასევე, აღნიშნა, რომ გარკვეული წინსვლაა მიღწეული მოწყვლად და უკიდურეს სიღარიბეში მყოფ ბავშვთა დაცვის საკითხებში და თხოვნით მიმართა ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს, სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დენისტიტუციონალიზაციის პროცესის დასასრულებლად მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ⁹⁰.

2019 წლის 3 ივლისს საერთაშორისო უფლებადაცვითმა ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეიშენალმა“ (Amnesty International) თბილისსა და მოსკოვში წარადგინა ანგარიში – „მავთულხლართებს მიღმა – „ბორდერიზაციით“ გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში“⁹¹. ანგარიში სიღრმისეულად განიხილავს ოკუპაციით გამოწვეულ პრობლემებს და ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით აკეთებს შეფასებებს. ანგარიშში საუბარია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ მძიმე ვითარებაზე, ასევე ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფაქტებზე. ანგარიში იმ ადამიანებს ეხება, რომლებიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან ახლოს, ორივე მხარეს ცხოვრობენ. ანგარიშში წარმოდგენილია ისტორიები და დოკუმენტირებული ამბები, რომლებიც გადაადგილების უფლების შეზღუდვაზე მოგვითხრობენ, უკანონო დაკავებებზე, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, ადამიანების მიერ საარსებო წყაროების დაკარგვაზე, სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების რუსი ჯარისკაცების მიერ მითაცებაზე, ასევე, საუბარია ოჯახური ცხოვრების უფლებისა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე.

ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელისუფლებისა და სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო მთავრობების მცდელობებს, მოახდინონ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული სასამღვრო ხაზების „სეკურიტიზაცია“ დანარჩენ საქართველოსთან, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა აქვს. საერთაშორისო ამნესტია მიიჩნევს, რომ „ბორდერიზაცია“ უარყოფითად აისახება ადმინისტრაციული სასამღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობაზე⁹².

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „ფრიდომ ჰაუსმა“ (Freedom House) მსოფლიოში თავისუფლების შესახებ 2019 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, საქართველო კვლავ ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა. კვლევაში საქართველოს 100-დან 63 ქულა აქვს მინიჭებული. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს საქართველოს 64 ქულა ჰქონდა. გასული წლის მსგავსად, ადამიანის თავისუფლების, პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების მხრივ საქართველოს შვიდიდან სამი ქულა აქვს მინიჭებული (ერთი ქულა – უფრო მეტად თავისუფალი, შვიდი ქულა – ყველაზე ნაკლები)⁹³.

ანგარიშის ვრცელ ვერსიაში, ორგანიზაცია საუბრობს იმაზე, რომ 2012-2013 წლებში, მთავრობის ცვლილების დროს მიღწეული პროგრესი უკანასკნელ წლებში მცირდება. „*ოლიგარქ აქტორებს მეტისმეტად დიდი გავლენა აქვთ პოლიტიკასა და პოლიტიკურ არჩევანზე, და კანონის უზენაესობა ჯერ ისევ*

⁹⁰ იქვე.

⁹¹ იხ. „BEHIND BARBED WIRE“ HUMAN RIGHTS TOLL OF “BORDERIZATION” IN GEORGIA -Amnesty International: <https://www.amnesty.org/download/Documents/EUR5605812019ENGLISH.PDF>

⁹² იქვე.

⁹³ იხ. ფრიდომ ჰაუსის“ 2019 წლის რეიტინგი: <https://bit.ly/2SqRuwl>

პოლიტიკური ინტერესებით არის შემოსამღვრული“. ანგარიშში ორგანიზაცია საუბრობს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის არაფორმალურ როლზე და ხაზს უსვამს მის გავლენას ფინანსური და ბიზნესის ინტერესების მიმართულებითაც. ორგანიზაცია ასევე საუბრობს კორუფციაზე და ამბობს, რომ მიუხედავად საქართველოს პროგრესისა წვრილმან კორუფციასთან ბრძოლაში, ელიტური კორუფცია კვლავ პრობლემად რჩება⁹⁴.

„ფრიდომ ჰაუსის“ კვლევით, საქართველო 2019 წელს ინტერნეტის თავისუფლების ინდექსით მსოფლიო ათეულშია და 75 ქულით იტალიასთან ერთად მე-10 ადგილს იკავებს⁹⁵.

საქართველოზე საუბრისას მკვლევრებმა ცენზურისა და რეგულაციების ნაკლებობასთან ერთად, ქვეყანაში ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზეც ისაუბრეს – მაგალითად, პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით დემინფორმაციის გავრცელებასა და „ტროლინგზე“, როგორც საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების მექანიზმზე. ანგარიში ამტკიცებს, რომ ამ მეთოდს პრო-სამთავრობო ჯგუფებთან ერთად, ზოგ შემთხვევაში ოპოზიციის მხარდამჭერი და მის მიმართ კეთილგანწყობილი ჯგუფებიც იყენებენ⁹⁶.

2019 წლის ივნისში დაგეგმილ თბილისის პრაიდის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიამ განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თბილისის პრაიდის მონაწილეების უსაფრთხოება. ამის შესახებ ევროსაბჭოს კომისარმა განცხადება ფეისბუქის გვერდზე გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ „ყველა ქართველი არის თანასწორი, რითაც შეუძლიათ დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა, LGBTQ+ ადამიანების ჩათვლით, დაცული უნდა იყოს ძალადობისგან და სიძულვილის ენისგან, ყველას უნდა ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლება და მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარების უფლება“.⁹⁷

19 ივნისს მსგავსი შინაარსის განცხადება გაავრცელა ადამიანის უფლებათა სახლის ფონდმაც, სადაც ნათქვამია, რომ ხელმოწერი 37 ორგანიზაცია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ყველა საჭირო ზომა გაატარონ საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად.⁹⁸

საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-მა თბილისის პრაიდთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ყველა საჭირო ზომა და უზრუნველყოს პრაიდის მონაწილეების უსაფრთხოება.⁹⁹

18 ივნისს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ დეპარტამენტი ღრმად შეშფოთებული LGBTQ+ თემის წინააღმდეგ გამოთქმული მუქარებით თბილისის პრაიდის მარშის წინ და კატეგორიულად გმობს ადამიანების დევნას რაიმე, კერძოდ, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიზეზით.¹⁰⁰

⁹⁴ ინფორმაცია ვრცლად: <https://freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2019>

⁹⁵ იხ. სტატია Freedom House-ის ინტერნეტ თავისუფლების რეიტინგი, 2019 წელს:

<https://1tv.ge/news/fridom-hausi-saqartvelo-internetis-tavisuflebis-reitingshi-msofio-ateulshia/>

⁹⁶ ინფორმაცია ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/326013>

⁹⁷ იხ. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის განცხადება: <https://bit.ly/2QJqyax>

⁹⁸ იხ. განცხადება სრულად: <https://bit.ly/2sVqfjT>

⁹⁹ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2TcdUT8>

¹⁰⁰ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/36ldp6S>

ორგანიზაციის - „ჟურნალისტები საზღვრების გარეშე“ 2019 წლის „მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, 2012 წელს საქართველო 104-ე პოზიციას იკავებდა. 2012 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია 44 პოზიციით გაუმჯობესდა და 2019 წელს 60-ე ადგილი დაიკავა მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის¹⁰¹.

2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიში - „არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“ - საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch დეტალურად აღწერს, თუ შრომითი უფლებების არასაკმარისმა დაცვამ და ხელისუფლების მხრიდან შეზღუდულმა ზედამხედველობამ როგორ გახადა შესაძლებელი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ისეთი პრაქტიკის აყვავება, რომელიც ხელყოფს მშრომელთა უსაფრთხოებას. საქართველოს შრომის კანონმდებლობა არასაკმარისად არეგულირებს სამუშაო საათებს, შესვენების დროს, ყოველკვირეულ დასვენებას და ღამის საათებში მუშაობას და არ უზრუნველყოფს ხელისუფლების მხრიდან შრომის პირობების სრულ ინსპექტირებას. ორგანიზაცია კრიტიკულად აფასებს ამ მხრივ, ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის კანონმდებლობა მოიყვანოს შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან¹⁰².

Human Rights Watch ასევე გამოეხმაურა 20-21 ივნისის აქციის დაშლას. განცხადებაში წერია, რომ „პოლიციამ თბილისში რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გაფრთხილების გარეშე გამოიყენა ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტის წინააღმდეგ...“. ორგანიზაცია თავის განცხადებაში ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სამართლის, მათ შორის, გაეროს მიერ აღიარებულ ნორმებზე და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, იმოქმედოს მათი დაცვით¹⁰³.

2019 წლის 23 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით: „აშშ მხარს უჭერს უსაფრთხო, წარმატებულ და დემოკრატიულ საქართველოს. ჩვენ მიგვსალმებით პროგრესს, რაც სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღას მოყვება და მხარს ვუჭერთ მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის მიმდინარე დიალოგს საარჩევნო რეფორმაზე. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, გააძლიეროს თავისი ერთგულება დემოკრატიული პრინციპების, ინდივიდუალური თავისუფლების და კანონის უზენაესობის მიმართ და უზრუნველყოს, რომ სასამართლო და საბრალდებო სისტემები იყოს თავისუფალი პოლიტიკური მიკერძოებისგან. აშშ გააგრძელებს მუშაობას თავის სტრატეგიულ პარტნიორ საქართველოსთან ერთად, რათა ხელი შეუწყოს კანონის უზენაესობას და ანგარიშვალდებულ ინსტიტუტებს“¹⁰⁴.

2020 წლის 9 იანვარს გამოქვეყნდა ეუთოს (OSCE), დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) ანგარიში - „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და

¹⁰¹ იხ. „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ - რეიტინგი: <https://rsf.org/en/ranking/2019>

¹⁰² იხ. "არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევის გარეშე", Human Rights Watch, 2019: https://www.hrw.org/sites/default/files/report_pdf/georgia0819_ka_web_0.pdf

¹⁰³ ინფორმაცია ვრცლად: <https://www.hrw.org/news/2019/06/21/georgia-police-use-teargas-rubber-bullets-against-protesters>

¹⁰⁴ იხ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება: <https://bit.ly/2s3HZJa>

დანიშვნის მეორე ანგარიში¹⁰⁵. ანგარიშში კრიტიკულად არის შეფასებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი. ODIHR-ის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის საკითხს, მართლმსაჯულების სფეროს დამოუკიდებლობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ისინი მაინც ვერ უზრუნველყოფენ მკაფიოდ განსაზღვრულ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მიუკერძოებელ პროცესს, რომელიც თავისუფალი იქნება მიკერძოებული პოლიტიკის გავლენისგან.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, მოსამართლეების დანიშვნის საბოლოო პლენარული კენჭისყრის პროცესი გაიმართა პოლიტიკური კრიზისის დროს, ოპოზიციის ბოიკოტისა და გადავადების ფართოდ გავრცელებული მოთხოვნის ფონზე. ანგარიშის თანახმად, პროცესის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, მიმდინარე პოლიტიკური გარემოს მიუხედავად, ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების გულწრფელობას განცხადებულ მიზანთან დაკავშირებით, რომ პროცესი იყოს ღია და გამჭვირვალე, რომელიც მოიპოვებდა ფართო პოლიტიკურ მხარდაჭერას და გააძლიერებდა საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი.

¹⁰⁵ იხ. ODIHR-ის 2019 წლის ანგარიში: "საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში" <https://www.osce.org/ka/odihhr/443497?download=true>